

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES  
ИЗВЕСТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

**ქიმიის სერია**

**CHEMICAL SERIES**

**СЕРИЯ ХИМИЧЕСКАЯ**

**ISSN – 0132 – 6074**

**2014 № 1**

**ტომი  
Volume 40**

**Том**

**თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე  
PROCEEDINGS OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES  
ИЗВЕСТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

ქიმიის სერია  
**CHEMICAL SERIES**  
**СЕРИЯ ХИМИЧЕСКАЯ**

---

**ISSN – 0132 – 6074**

ტომი

Volume **40 № 1**

Том

ჟურნალი დაარსდა 1975 წელს  
The Journal is founded in 1975  
Журнал основан в 1975 году

წელიწადში 4 ნომერი  
4 numbers annually  
4 номера в год

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2014

## სარედაქციო კოლეგია

ი.ჟორდანია, ი.რუჟილო (პოლონეთი), შ.სამსონია, ე.ქემერტელიძე, გ.ცინცაძე, ვ.ციციშვილი (რედაქტორი), თ.აგლაძე, ა.ბაკურიძე, ზ.ფაჩულია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება  
თბილისი, რუსთაველის გამზირი 52  
პასუხისმგებელი მდივანი რ.ცისკარიშვილი, მდივანი ქებრალიძე  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი  
0186 თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. № 5; ტელ. 254-15-62; ელ.ფოსტა: chematsne@posta.ge  
ჟურნალის ელექტრონული ვერსია (ტომი 33, № 1–დან) იხილეთ ვებ-გვერდზე: www.ipoc.org.ge  
სტატიების რეფერატებს აქვეყნებს Chemical Abstracts\* და საქართველოს რეფერატული ჟურნალი\*\*

## EDITORIAL BOARD

E.Kemertelidze, I.Jordania, Jan K.Różyło (Poland), Sh.Samsoniya, G.Tsintsadze, V.Tsitsishvili (Editor), T.Agladze, A.Bakuridze, Z.Pachulia

Georgian National Academy of Sciences, Department of Chemistry and Chemical Technologies  
52 Rustaveli av., Tbilisi  
Executive Secretary R.Tsiskarishvili, K.Ebralidze  
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry  
5 Politkovskaia str., Tbilisi 0186; tel.: 254-15-62; e-mail: chematsne@posta.ge  
Digital version of Proceedings (from volume 33, No 1) see at web-site www.ipoc.org.ge  
Abstracts of articles are published in Chemical Abstracts\* and Georgian Abstracts Journal\*\*.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

И.С.Жордания, Э.П.Кемертелидзе, Я.К.Ружило (Польша), Ш.А.Самсония, Г.В.Цинцадзе, В.Г.Цицишвили (редактор), Т.Р.Агладзе, А.Дж.Бакуридзе, З.В.Пачулия

Национальная Академия наук Грузии, Отделение химии и химических технологий  
Тбилиси, проспект Руставели 52  
Ответственный секретарь Р.П.Цискаришвили, секретарь К.Г.Эбралидзе  
Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили  
0186 Тбилиси, ул. А.Политковской 5; тел. 254-15-62; эл.почта: chematsne@posta.ge  
Электронную версию журнала (начиная с тома 33, № 1) смотрите на веб-сайте www.ipoc.org.ge  
Резюме статей публикуются в Chemical Abstracts\* и Грузинском реферативном журнале \*\*

\* 2540 Olentangy River Road, P.O. Box 3012, Columbus, OH 43210-0012, USA, American Chemical Society  
\*\* LERL TECHINFORMI, <http://www.tech.org.ge>; [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)

## შინაარსი

### ანალიზური ძიშია

*კ.რუხაია, მ.კიკელიშვილი.* ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონათიონატებში(V) გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრა 9

### არაორბანული ძიშია

*ბ.ფურცელაძე, თ.ჭყონია, ე.შოშიაშვილი, მ.ავალიანი, ი.ჩხაიძე, მ.სვანიძე, ლ.სვანიძე, თ.ლუჯავა.* მანგანუმის დიოქსიდის მიღება მანგანუმის კარბონატული მადნიდან 12

*მ.სამხარაძე.* d-მეტალთა ტეტრათიონათიონატებსა (V) და მათი გარდაქმნის პროდუქტებში სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა 16

### ლექტროძიშია

*შ.ჯაფარიძე, ი.გურგენიძე.* ტრიმეზინის მჟავას ადსორბცია ვერცხლისწყალზე ეთანოლისა და წყალხსნარებიდან 19

*პ.ნიკოლეიშვილი, გ.წურწუშია, ვ.კვესელავა, გ.გორელიშვილი, მ.ავალიანი, რ.კურტანიძე, დ.შარაბიძე.* დამჟანგველების – წყალბადის პეროქსიდის, ნატრიუმის პერბორატისა და ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ერთდროული ელექტროსინთეზი მემბრანულ ელექტროქიმიურ რეაქტორში\* 31

### ფიზიკური ძიშია

*ა.ფორჩხიძე.* ადსორბციის და აბსორბციის ეფექტის გავლენის შესწავლა ელექტროლიტების წყალხსნარებში პოლიეთილენტერეფტალატის ცოცვადობაზე 32

*რ.ჯანელიძე, ი.ბლაგიძე, გ.მშველიძე, ო.გოგოლონი, ე.ციციშვილი.*  $A_2Bi_6$  და  $A_1Bi_7$  ნაერთების კომპონენტებით ლეგირებული ბორსილიკატური მინების ელექტროგამტარობაზე მობილური იონების შერევის ზემოქმედება\* 40

*ე.ქაჩიაია, რ.იმნაძე, თ.პაიკიძე, დ.მანაშვილი, თ.მარაღაძე.*  $LiCr_xMn_{1-x}PO_4$  ( $0 \leq x \leq 1$ ) ფოსფატების, როგორც ლითიუმ-იონური აკუმულატორების პერსპექტიული საკათოდე მასალების, სინთეზი\* 44

*თ.კორძაძია, ლ.ეპრიკაშვილი, მ.ზაუტაშვილი, ნ.ფირცხალავა, მ.მაგანია.* ბენზინში არომატული ნახშირწყალბადების განსაზღვრა ჩანაწყობიანი ქრომატოგრაფიული სვეტების გამოყენებით\* 49

*ნ.ლოლაძე, ე.ქუთელია, მ.წეროძე, ნ.მაისურაძე, ი.ძიძიშვილი, ს.ზასლავსკი.* სპონტანური კრისტალიზაციისას წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე ხელოვნური ალმასების მიღების შესაძლებლობის შესახებ\* 54

*კ.ზაჩატურიანი, ლ.მანარაძე.* თერმული დამუშავების გავლენა დიატომიტის ქრომატოგრაფიულ თვისებებზე\* 61

### მათემატიკური ძიშია

*ზ.ფაჩულია, ნ.ფირცხელიანი.*  $\alpha, \omega$ -ბის(ტრიმეთილსილოქსი)მეთილჰიდრიდსილოქსანის ტრიმეთილმეთაკრილოქსისილანთან ჰიდრიდული მიერთების რეაქციის კვანტურ-ქიმიური მოდელირება 62

*ნ.შენგელია, ჯ.კერესელიძე, ზ.ფაჩულია.* აციკლური ამინომჟავების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ქვანტურ-ქიმიური აღწერა\* 67

\* რეზიუმე

**შარმაკოქიმიკა**

*მ.სიჭინავა, მ.სუთიაშვილი, მ.ალანია, ვ.მაი-ლედეტი, ე.ოლივიე.* საქართველოს ფლორის *Ononis arvensis* მიწისზედა ნაწილების ქიმიური კომპონენტები\* 70

**აბრარული ქიმიკა**

*ო.ლომთაძე, ლ.ცხვედაძე, დ.აკაკაშვილი, ნ.ლომთაძე.* ახალი ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი ატმის ბუგრების საწინააღმდეგოდ 71

*თ.მითაიშვილი, ნ.ზამბაზიძე, ი.თარგამაძე, დ.ჭრიკიშვილი, ა.შალაშვილი.* ღვინო საფერავიდან ზოგიერთი ფლავონოიდის გამოყოფა და იდენტიფიკაცია 74

**ბარემოს ქიმიკა**

*ნ.კეკელიძე, თ.ჯახუტაშვილი, ე.თულაშვილი, მ.ჩხაიძე, ლ.მწარიაშვილი, ზ.ბერიშვილი, ნ.ხიზაძე.* თბილისის და ქართლის არტეზიული აუზების ზოგიერთი წყაროების ბუნებრივი რადიოაქტიუობა\* 86

**ქიმიური ეკოლოგია**

*ა.ჩუბინიძე, ნ.ენდელაძე, ნ.ბრეგაძე.* რენტგენული სპექტრომეტრის გამოყენება ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისათვის და ეკოლოგიური ქიმიის ზოგიერთი ასპექტი 87

**ქიმიური ტექნოლოგია**

*ლ.ტატიაშვილი, ნ.წეროძე, მ.სტეფანიშვილი, რ.ურდია, ი.მიქაძე.* ნიადაგიდან ფულვომუხავების გამოყოფის შესაძლებლობები და მათი შემდგომი გამოყენება 90

*ლ.ვაბრიჭიძე, ე.ხუციშვილი, ნ.ქობულაშვილი, ნ.ხუციშვილი, თ.გივიტაშვილი, რ.ხარატი, გ.ურუშაძე, ი.კუპრეიშვილი, ნ.კეკელიძე.* მინარეგების მოშორება მეტალურგიული სილიციუმიდან ნაღობიდან ამოწვევის მეთოდით 94

*ნატო ლომთაძე.* სალანჩე ტყავების თერმომდგრადობა 101

*გ.წინწკალაძე, ო.ლომთაძე, მ.ბურჯანაძე, თ.შარაშენიძე, ვ.ვაბუნია, ნ.შალვაშვილი, ვ.ციციშვილი.* სპეციალური დანიშნულების გოგირდშემცველი ცეოლითური დანამატები ანტიკოროზიული და ბიოციდური ბეტონების მისაღებად\* 108

**ინფორმაცია ავტორებისათვის** 115

\* რეზიუმე

## CONTENTS

**ANALITICAL CHEMISTRY**

- K.Rukhaia, M.Kikalishvili.* Quantitative Determination of Sulfur in Sodium and Lithium Tetrathioantimonate (V)\* 11

**INORGANIC CHEMISTRY**

- B.Purtseladze, T.Tchkonia, E.Shoshiashvili, M.Avaliani, I.Chkhaidze, M.Svanidze, L.Svanidze, T.Lejava.* Producing of Manganese Dioxide from Carbonate Manganese Ores\* 15
- M.Samkharadze.* Determination of Stibium in Tetrathioantimonates(V) of d-Metals and in Products of their Transformation\* 18

**ELECTROCHEMISTRY**

- Sh.Japaridze, I.Gurgenidze.* Adsorption of Trimezinic Acid from Ethanolic and Aqueous Solutions at the Mercury\* 23
- P.Nikoleishvili, G.Tsursumia, V.Kveselava, G.Gorelishvili, M.Avaliani, R.Kurtanidze, D.Sharabidze.* Simultaneous Electrosynthesis of Oxidizers - Hydrogen Peroxide, Sodium Perborate and Sodium Hypochlorite in the Membrane Electrochemical Reactor\* 31

**PHYSICAL CHEMISTRY**

- A.Porchkhidze.* Study of Influence of Adsorption and Absorption Effects on the Creeping of Polyethyleneterephthalate in Aqueous Solutions of Electrolytes\* 34
- R.Janelidze, Yu.Blagidze, G.Mshvelidze, O.Gogolin, E.Tsitsishvili.* Impact of Mixed Mobile Ions Effect on Electroconductivity of Borosilicate Glasses Doped with  $A_2B_6$  and  $A_1B_7$  Compounds Components 35
- E.Kachibaia, R.Imnadze, T.Paikidze, D.Dzanashvili, T.Machaladze.* Synthesis of  $LiCr_xMn_{1-x}PO_4$  ( $0 \leq x \leq 1$ ) Phosphate as a Promising Cathode Material for Lithium-Ion Accumulators 41
- T.Kordzakhia, L.Eprikashvili, M.Zautashvili, N.Pirtskhalava, M.Dzagania.* The Use of Chromatographic Packed Column for Determination of Aromatic Hydrocarbons in Gasoline\* 49
- N.T.Loladze, E.R.Qutelia, M.P.Tserodze, N.I.Maisuradze, I.G.Dzidzishvili, S.I.Zaslavski.* The Possibility to Produce Synthetic Diamond Crystals with Predetermined Properties in Condition of Spontaneous Crystallization\* 54
- K.Khachaturian, L.Makharadze.* Influence of the Thermal Treatment on the Chromatographic Characteristics of Diatomite\* 61

**MATHEMATICAL CHEMISTRY**

- Z.Pachulia, N.Pirtskheliani.* Quantum-Chemical Modeling of Hydride Addition of  $\alpha,\omega$ -Bis-(trimethylsiloxy)methylhydridesiloxane to Trimethylmethacryloxysilane\* 64
- N.Shengelia, J.Kereselidze, Z.Pachulia.* The Quantum-Chemical Description of Physico-Chemical Properties of the Acyclic Amino Acids\* 67

**PHARMACOCHEMISTRY**

- M.Sichinava, M.Sutiashvili, M.Alania, V.Mahiou-Leddet, E.Ollivier.* Chemical Components of Overground Parts of *Ononis Arvensis* from Georgian Flora\* 70

\* Summary

**AGRARIAN CHEMISTRY**

*O.Lomtadze, L.Tskhvedadze, D.Kakashvili, N.Lomtadze.* New Insectoacaricidal Drug Against Aphids of Peach\* 73

*T.Mitaishvili, N.Zambakhidze, I.Targamadze, D.Chrikishvili, A.Shalashvili.* Izolation and Identification of Selected Flavonoids from the Saperavi Wine\* 78

**ENVIRONMENTAL CHEMISTRY**

*N.Kekelidze, T.Jakhutashvili, E.Tulashvili, M.Chkhaidze, L.Mtsariashvili, Z.Berishvili, N.Khikhadze.* Natural Radioactivity of Some Springs in the Territory of Tbilisi and Kartli Artesian Basins\* 86

**CHEMICAL ECOLOGY**

*A.Chubinidze, N.Endeladze, N.Bregadze.* Use of X-Ray Spectrometer for Study of Chemical Contents and Some Aspects of Ecological Chemistry\* 89

**CHEMICAL TECHNOLOGY**

*L.Tatiashvili, N.Tserodze, M.Stefanishvili, R.Uridia, I.Mikadze.* Opportunities of Fulvic Acids Allocation from the Ground and their Further Use\* 93

*L.Gabrichidze, E.Khutsishvili, N.Kobulashvili, N.Khutsishvili, T.Gigitashvili, R.Kharati, G.Urushadze, I.Kupreishvili, N.Kekelidze.* Removal of Impurities from Metallurgical Silicon by Crystal Pulling from Melt\* 100

*N.Lomtadze.* Heat-Resistant Properties of Plantar Skin \* 103

*G.Tsintskaladze, O.Lomtadze, M.Burjanagze, T.Sharashenidze, V.Gabunia, N.Shalvashvili, V.Tsitsishvili.* Sulfur-Containing Zeolite Supplements for Anti-Corrosive and Biocide Special Concretes\* 108

**INFORMATION for AUTHORS** 115

---

\* Summary



## СОДЕРЖАНИЕ

**АНАЛИТИЧЕСКАЯ ХИМИЯ**

- К.Рухая, М.Кикалишвили. Количественное определение серы в тетрагидроантимонате (V) натрия и лития\* 11

**НЕОРГАНИЧЕСКАЯ ХИМИЯ**

- Б.Х.Пурцеладзе, Т.К.Чкония, Э.Н.Шошиашвили, М.А.Авалиани, И.В.Чхаидзе, М.И.Сванидзе, Л.К.Сванидзе, Т.Т.Лежава.* Получение диоксида марганца из карбонатной руды марганца\* 15

- М.Г.Самхарадзе.* Определение сурьмы в тетрагидроантимонатах(V) d-металлов и в продуктах их превращения\* 18

**ЭЛЕКТРОХИМИЯ**

- Ш.С.Джапаридзе, И.А.Гургенидзе.* Адсорбция тримезиновой кислоты на ртути из этанольных и водных растворов\* 23

- П.О.Николеишвили, Г.С.Цуцумия, В.М.Квеселава, Г.Г.Горелишвили, М.А.Авалиани, Р.Р.Куртанидзе, Д.Т.Шарабидзе.* Одновременный электросинтез окислителей – пероксида водорода, пербората натрия и гипохлорита натрия в мембранном электрохимическом реакторе 24

**ФИЗИЧЕСКАЯ ХИМИЯ**

- А.Порчхидзе.* Изучение влияния эффекта адсорбции и абсорбции на ползучесть полиэтилентерефталата в водных растворах электролитов\* 34

- Р.Б.Джанелидзе, Ю.М.Благидзе, Г.Г.Мивелидзе, О.В.Гоголин, Е.Г.Цицишвили.* Воздействие смешивания мобильных ионов на электропроводность боросиликатных стекол легированных компонентами соединений  $A_2B_6$  и  $A_1B_7$  40

- Э.И.Качибая, Р.А.Имнадзе, Т.В.Паукидзе, Д.И.Дзанашивили, Т.Мачаладзе.* Синтез  $LiCr_xMn_{1-x}PO_4$  ( $0 \leq x \leq 1$ ) фосфатов как перспективных катодных материалов литий-ионных аккумуляторов\* 44

- Т.Н.Кордзахия, Л.Г.Эприкашвили, М.Г.Зауташвили, Н.В.Пиричалава, М.А.Дзаганя.* Использование насадочных хроматографических колонок для определения ароматических углеводов в бензине 45

- Н.Т.Лоладзе, Э.Р.Кутелия, М.П.Церодзе, Н.И.Майсурадзе, Ю.Г.Дзидзишвили, С.И.Заславский.* О возможности получения синтетических алмазов с заранее заданными свойствами при спонтанной кристаллизации 50

- К.К.Хачатурян, Л.В.Махарадзе.* Влияние термической обработки на хроматографические свойства диатомита 55

**МАТЕМАТИЧЕСКАЯ ХИМИЯ**

- З.В.Пачулия, Н.А.Пирицхелиани.* Квантово-химическое моделирование реакции гидридного присоединения  $\alpha, \omega$ -бис(триметилсилокси)метилгидридсилоксана к триметилмета-крилоксисилану\* 64

- Н.Шенгелия, Дж.Кереселидзе, З.Пачулия.* Квантово-химическое описание физико-химических свойств ациклических аминокислот\* 65

---

\* Резюме



**ФАРМАКОХИМИЯ**

*М.Б.Сичинава, М.Г.Сутиашвили, М.Д.Алания, В.Май-Леддет, Э.Оливье.* Химические компоненты надземных частей *Ononis arvensis* флоры Грузии 68

**АГРОХИМИЯ**

*О.Г.Ломтадзе, Л.П.Цхведадзе, Д.М.Какашвили, Н.О.Ломтадзе.* Новый инсекто-акарицидный препарат против тлей персика\* 73

*Т.Митаишвили, Н.Забахидзе, И.Таргамадзе, Д.Чрикишвили, А.Шалашвили.* Выделение и идентификация некоторых флавоноидов из вина Саперави\* 78

**ХИМИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ**

*Н.П.Кекелидзе, Т.В.Джахуташвили, Э.В.Тулашвили, М.А.Чхаидзе, Л.А.Мцаришвили, З.В.Беришвили, Н.А.Хихадзе.* Природная радиоактивность некоторых родников в Тбилисском и Картийском артезианских бассейнах 79

**ХИМИЧЕСКАЯ ЭКОЛОГИЯ**

*А.Д.Чубинидзе, Н.О.Енделадзе, Н.Л.Брегадзе.* Применение рентгеновского спектрометра с целью определения химического состава и некоторые аспекты экологической химии\* 89

**ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ**

*Л.Т.Татишвили, Н.П.Церодзе, М.А.Степанишвили, Р.З.Уридия, И.И.Микадзе.* Возможности выделения фульвокислот из почвы и их последующее использование\* 93

*Л.Габричидзе, Э.Хуцишвили, Н.Кобулашвили, Н.Хуцишвили, Т.Гигиташвили, Р.Харати, Г.Урушадзе, И.Купреишвили, Н.Кекелидзе.* Удаление примесей из металлургического кремния методом вытягивания кристаллов из расплава\* 100

*Н.Ломтадзе.* Термостойкие свойства подошвенных кож\* 100

*Г.П.Цинцкаладзе, О.Г.Ломтадзе, М.Н.Бурджанадзе, Т.В.Шарашиенидзе, В.М.Габуня, Н.И.Шалвашвили, В.Г.Цицишвили.* Серосодержащие цеолитные добавки для получения антикоррозийных и антибактерицидных бетонов специального назначения 104

**ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ** 115

---

\* Резюме

## ანალიზური ქიმია

## ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონათიმონატებში(V) ბოზირდის რაოდენობრივი განსაზღვრა

კახა რუხაია, მანუჩარ კიკალიშვილი\*

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
\*აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესწავლილია იოდმეტრიის მეთოდით ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონათიმონატებში (V) გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრის შესაძლებლობა. ნაჩვენებია, რომ წონაკში გოგირდის მასური წილი ადვილად იანგარიშება გატიტრებაზე დახარჯული მჟანგავის (I<sub>2</sub>) ტიტრირების ხსნარის მოცულობით.

ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონათიმონატები(V) ჩვენს მიერ სინთეზირებული იქნა რამდენიმე მეთოდით [1-4]. ბუნებრივია, მიღებული ნაერთების გამოკვლევისათვის საჭირო იყო ჩაგვეტარებინა ელემენტური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი. ამ უკანასკნელზე ამჯერად არ შევჩერდებით და ყურადღებას ელემენტურ ანალიზზე გადავიტანთ. ასე რომ განსაზღვრი იყო კრისტალიზაციური წყალი, გოგირდი, სურმა და მეტალი.


კრისტალიზაციური წყალი განვსაზღვრეთ წონითი მეთოდით, სინჯს ვაცხელებდით რა 110–190°C-ზე მუდმივი მასის მიღებამდე. გოგირდიც განვსაზღვრეთ წონითი მეთოდით, რომელიც მდგომარეობდა ნატრიუმის (ლითიუმის) ტეტრათიონათიმონატის(V) აქტიური დამჟანგავით – ბრომით დაჟანგვასა და მიღებული ფილტრატის ბარიუმის ქლორიდის ხსნარით კარგად აპრობირებული მეთოდით დამუშავებაში. სურმა განვსაზღვრეთ ევინსის მეთოდით [5], ხოლო მეტალის შემცველობა გამოვთვალეთ არითმეტიკული სხვაობით.

მეთოდი, რომლითაც დღემდე დარიშხანშემცველ ნაერთებში (როგორც ორგანული, ასევე არაორგანული) ხდება დარიშხანის რაოდენობრივი განსაზღვრა, საყოველთაოდაა ცნობილი და მას ევინსის მეთოდს უწოდებენ.


როგორც ცნობილია, სურმა წარმოადგენს დარიშხანის ელემენტ-ანალოგს. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდა ევინსის მეთოდის გავრცელება სურმის რაოდენობრივი განსაზღვრის მიზნითაც [6], ეს მეთოდი დღეს უკვე წარმატებით გამოიყენება სურმაშემცველი ნაერთების გამოკვლევისას და მისი არსი მდგომარეობს Sb<sup>+3</sup>-ის რაოდენობრივად განსაზღვრაში (0,05 N) იოდის ხსნარით.

რადგან ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონათიმონატები(V) ადვილად იჟანგებიან სხვადასხვა აქტიური დამჟანგავების მოქმედებით [7], ჩნდება კითხვა როგორ მოიტყვევიან ისინი, თუ მათ განზავებულ წყალხსნარზე ვიმოქმედებთ იოდის ტიტრირების (0,05 N) ხსნარით ანუ შესაძლოა, თუ-არა, უშუალოდ გატიტროს სინჯი და შესაბამისად განისაზღვროს მასში სურმის რაოდენობრივი შემცველობა დახარჯული იოდის მიხედვით.

მოსალოდნელი იყო რეაქციის რამდენიმე მიმართულებით წარმართვა, რომელთაგან ყველაზე სააღბათოა:



ან:




ანალოგიურად მიმდინარეობს რეაქცია  $\text{Li}_3\text{SbS}_4 \cdot 9,5\text{H}_2\text{O}$  –ს შემთხვევაშიც.

აღნიშნული სავარაუდო რეაქციების ჭეშმარიტების დასადგენად რამდენჯერმე ჩავატარეთ ექსპერიმენტული სამუშაო. ერლინმეიერის 250 მლ-იან კოლბაში გარკვეულ რაოდენობა სინჯისაგან ვამზადებდით განზავებულ წყალხსნარს, ვამატებდით 1 მლ სახამებლის ხსნარს და ვტიტრავდით 0,05 N იოდის ხსნარით. აღმოჩნდა, რომ დახარჯული იოდის მოცულობა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული რეაქციებისათვის საჭირო რაოდენობებს.

შენიშნული ცდომილების მიზეზი უნდა ვეძებოთ გამოსაკვლევი ნივთიერების წყალხსნარის pH-თან დამოკიდებულებაში. და, მართლაც, როგორც ცნობილია, სუსტ მჟავა გარემოშიც კი უმდგრადია ტუტემეტალთა ტეტრათიონთიმონატები(V). ამ უკანასკნელს ისიც ადასტურებს, რომ თითოეული მათგანი მდგრადობას ჰაერის CO<sub>2</sub>-ისა და ტენის მოქმედების დროსაც კი ვერ ინარჩუნებს. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული, რომ მათ განზავებულ წყალხსნარშიც (pH≈7) ვერ შეინარჩუნონ მდგრადობა და გარდაიქმნან, მითუმეტეს, რომ ზემოთ ნაჩვენები (1) და (2) რეაქციები მიმდინარეობს მჟავა გარემოში, რომელსაც განაპირობებს წარმოქმნილი იოდწყალბადმჟავა, რაც, ცხადია, გატიტრის პროცესის სტაბილურობას ვერ უზრუნველყოფს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საჭირო გახდა ხსნარსთვის სუსტი ტუტე რეაქციის მინიჭება, რათა შეგვებოჭა გამოყოფილი იოდწყალბადმჟავა. ამისათვის კი გამოვიყენეთ ნატრიუმის ბიკარბონატი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარე რეაქცია შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:



აღნიშნული თეორიული მოსაზრების პრაქტიკულად განხორციელებით დადგინდა, რომ რეაქცია მიმდინარეობს (5) მიმართულებით და შესაბამისად ნიმუშში გოგირდის რაოდენობის გამოთვლა შესაძლებელია ფორმულით (4).

ამრიგად, დამუშავებულ იქნა ტუტემეტალთა (ნატრიუმი, ლითიუმი) ტეტრათიონთიმონატებში(V) გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრის ახალი მეთოდი, რომელიც ემყარება ნატრიუმის ბიკარბონატით გაჯერებულ ხსნარში ლითიუმისა და ნატრიუმის ტეტრათიონთიმონატების(V) პირდაპირ (ყოველგვარი დუდილისა და სხვა გარდაქმნების გარეშე) გატიტრებას იოდის (0,05N) ტიტრირანი ხსნარით. ექსპერიმენტით მიღებული შედეგები კარგ თანხვედრაშია თეორიულ მონაცემებთან, ცხადია, ცდის ცდომილების ფარგლებში.

წინამდებარე ნაშრომის უკეთ გაგება—შეფასების მიზნით მოგვყავს ექსპერიმენტის კონკრეტული მაგალითი.

250 მლ-იან ერლენმეიერის კოლბაში მოვათავსეთ 100 მლ გამომხდელი წყალი და მანამ გავავრძელეთ NaHCO<sub>3</sub>-ის გახსნა მასში, ვიდრე არ დარჩა გაუხსნელი მასა ≈2 გ-მდე. წონაკი 0,05–0,1 გ გავხსენით აღნიშნულ ხსნარში, დავამატეთ 1–2 მლ სახამებლის ხსნარი და დავიწყეთ 0,05 N I<sub>2</sub>-ის ხსნარით გატიტრება წვეთ-წვეთობით მუდმივი მორევის პირობებში. როცა არემ მიიღო მდგრადი ლურჯი ფერი, შევწყვიტეთ გატიტრება. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვთვალეთ S-ის პროცენტული შემცველობა, რომელიც ±0,4%-ის სიზუსტით დაემთხვა თეორიულსა და ანალიზის სხვა მეთოდით მიღებულ შედეგებს.

ამრიგად, შესწავლილია ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიონთიმონატებში(V) იოდმეტრით გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდი. ნაჩვენებია, რომ წონაკში გოგირდის მასური წილი ადვილად იანგარიშება გატიტრებაზე დასარჯული დამჟანგავის (I<sub>2</sub>) ტიტრირანი ხსნარის მოცულობით.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Р.Д.Гигаური, К.Дж.Рухая, М.И.Кикалишвили, М.А.Гахутишвили, Н.З.Робакидзе.* О продуктах окисления оксида сурьмы(III) элементной серой в щелочной среде. Изв. АН Грузии, сер. химии., 2003, т. 29, №3-4, с. 205-209.
2. *Р.Д.Гигаური, К.Дж.Рухая, М.И.Кикалишвили, М.А.Гахутишвили.* Ещё раз об окислении оксида сурьмы(III) элементной серой в щелочной среде. Изв. АН Грузии, сер. химии., 2004, т. 30, №3-4, с. 194-198.
3. *К.Дж.Рухая, М.И.Кикалишвили, Р.Д.Гигаური.* Продукты гидрохимического взаимодействия пентасульфида дисурьмы с едком натром. Химический журнал Грузии., 2003, 3(4), с. 305–307.
4. *К.Дж.Рухая, И.С.Дидбаридзе, М.И.Кикалишвили, М.Ш.Русия, Р.Д.Гигаური.* О продуктах гидрохимического взаимодействия пентасульфида дисурьмы с гидроксидом лития. Georgian Engineering News, 2004, №2, p. 119–122.
5. *Р.Х.Фрейдлина.* Синтетические методы в области металлоорганических соединений мышьяка. М.-Л.: Изд. АН СССР, 1945, С. 164.

6. მსამხარაძე. d-მეტალთა ტეტრათიონანთონატები და მათი კოორდინაციული ნაერთები აზოტმემცველ ლიგანდებთან. სინთეზი და გამოკვლევა. დის... ქიმ. მეც. კანდ. თბილისი, 2001.
7. К.Дж.Рухая, И.С.Дидбаридзе, М.И.Кикалишвили, М.Ш.Русия, Р.Д.Гугаური. О продуктах гидрохимического взаимодействия тетратиоантимоната(V) натрия с некоторыми окислителями. Georgian Engineering News, 2004, №2, P. 114-118.

## QUANTITATIVE DETERMINATION OF SULFUR IN SODIUM AND LITHIUM TETRATHIOANTIMONATE (V)

Kakha Rukhaia, Manuchar Kikalishvili\*

*Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia*

*\*Kutaisi A. Tsereteli State University*

### SUMMARY

Studied was a method of quantitative determination of sulfur in sodium and lithium tetrathioantimonate (V) by means of iodometric titration. Established that the mass concentration of sulfur in the suspension can be easily calculated based on the amount of the oxidizing titrant ( $I_2$ ) consumed for the titration. Corresponding mathematical formula was derived to calculate the percentage of sulfur.

## КОЛИЧЕСТВЕННОЕ ОПРЕДЕЛЕНИЕ СЕРЫ В ТЕТРАТИОАНТИМОНАТЕ (V) НАТРИЯ И ЛИТИЯ

Каха Рухая, Манучар Кикалишвили\*

*Министерство охраны окружающей среды и природных ресурсов Грузии*

*\*Кутаисский Государственный Университет им. Ак. Церетели*

### РЕЗЮМЕ

Изучен метод количественного определения серы в тетратиоантимонате (V) натрия и лития с применением иодометрии. Установлено, что массовая доля серы во взвеси легко рассчитывается исходя из объёма израсходованного на титрование раствора окислителя ( $I_2$ ). Для расчёта процентного содержания серы выведена соответствующая математическая формула.

## არარობანული ქიმიის

## მანგანუმის დიოქსიდის მიღება მანგანუმის კარბონატული მადნიდან

ბორის ფურცელაძე, თენგიზ ჭყონია, ეთერ შოშიაშვილი, მარინე ავალიანი, იზოლდა ჩხაიძე, მაყვალა სვანიძე, ლია სვანიძე, თამარ ლეჟავა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

შემოთავაზებულია მანგანუმის დიოქსიდის მიღების ხერხი ჭიათურის მანგანუმის კარბონატული მადნიდან. მადნის გამოტუტვის პროცესი ხორციელდება აზოტმჟავას მეშვეობით, ამიაკით გასუფთავების შემდეგ, 4-დან 5-დე pH-ის პირობებში. ტექნოლოგიური სქემა მანგანუმის კონცენტრატების  $Mn_2O_3$ -ის მიღების საშუალებას იძლევა, რომლის გადამუშავებით შესაძლებელია მანგანუმის დიოქსიდის მიღება.

საქართველოსთვის ჭიათურის საბადო მნიშვნელოვანი წიაღისეული სიმდიდრეა, სადაც მანგანუმის საკმაოდ დიდი ნაწილი კარბონატის სახითაა წარმოდგენილი. ეს მადნები არ ექვემდებარება ფლოტაციურ პროცესს და მათი გამოყენების ერთადერთი გზა - ქიმიური გადამუშავებაა [1-4].

მინერალური და სპექტრალური ანალიზებით დადგინდა, რომ აღნიშნული მადანი წარმოადგენს მანგანო-კალციტის ორკომპონენტის სისტემას, რომელიც ქმნის მანგანუმისა და კალციუმის იზომორფულ ნარევეს, რომელშიც გაბნეულია მაგნიუმი და რკინა. მადნების ფერებია: თეთრი, მონაცრისფრო-თეთრი, მოვარდისფრო ელფერით. ხვედრითი წონა 3,5-4 გ/სმ<sup>3</sup>, ნაყარის წონა 1,8 - 2,2 გ/სმ<sup>3</sup>.




ცხრილში 1 მოტანილია სხვადასხვა ადგილებიდან აღებული მანგანუმის კარბონატული მადნების ქიმიური შედგენილობა.

ცხრილი 1. მანგანუმის კარბონატული მადნების ქიმიური შედგენილობა, %

Mn საგ	MnO <sub>2</sub>	CaO+ MgO	SiO <sub>2</sub>	R <sub>2</sub> O <sub>3</sub>	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	CO <sub>2</sub>
18-25%	3-10%	9-18%	15-25	3-5	3-5	25-28


ჩვენს მიერ შემუშავებულია კარბონატული მადნის აზოტმჟავური გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს აქტიური მანგანუმის დიოქსიდის მიღებას. შემოთავაზებულია პროცესი, რომლის დროსაც მანგანუმის კარბონატული მადნის გამოტუტვა ხორციელდება 40-45%-იანი აზოტმჟავით, რის შედეგად ხსნარში გადადის შესაბამისად მანგანუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ალუმინი და სხვა ელემენტები.

კარბონატული მადნის აზოტმჟავური გამოტუტვა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ძირითადი განტოლებებით:




მიღებულ ნიტრატულ ხსნარებში ხდება აიროვანი ამიაკის გატარება, როდესაც pH მიაღწევს 4-5-ს, ამ დროს მიიღება ამონიუმის გვარჯილას ხსნარი.


ქვემოთ მოტანილია ნიტრატული ხსნარებიდან რკინის, ალუმინისა და ფოსფორის დალექვის განტოლებები:



სავარაუდოა, რომ ფოსფორმჟავა რეაგირებს ამიაკთან და წარმოქმნის ხსნად დიფოსფატებს:



ეს უკანასკნელნი შემდეგ კალციუმის ნიტრატთან უხსნად კალციუმის ფოსფატს წარმოქმნიან:



ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები, როდესაც რეაქტორში მოთავსებული იყო მიღებული შერეული ნიტრატული ხსნარი და მუდმივი მორევის პირობებში ხსნარში გატარებულ იქნა აიროვანი ამიაკი სტაბილური ნალექის წარმოქმნამდე. პროცესის დასასრულს ფიქსირდებოდა სუსპენზიის pH, შემდეგ კი ხდებოდა მიღებული სუსპენზიის გაფილტვრა და ნალექის გარეცხვა. პროცესის მომდევნო ეტაპი იყო ნალექის გახურება 800 – 850°C ტემპერატურაზე.

დარჩენილი თხევადი ფაზის დამუშავება ხდებოდა აიროვანი ამიაკით ნალექის წარმოქმნამდე და კვლავ ფიქსირდებოდა pH, ნალექის გამოწვა ისევ ხდებოდა ზემოთ აღნიშნულ ტემპერატურამდე. ამგვარად, ასეთ საფეხურებრივ ოპერაციებს ვიმეორებდით თანმიმდევრულად.


გამომწვარი ნალექების ქიმიური ანალიზის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

**ცხრილი 2.** გამომწვარი ნალექების ქიმიური ანალიზის შედეგები

No	ხსნარის pH	მინარეგების შემცველობა, %					შენიშვნა
		Mn	MnO <sub>2</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	
1	1,85	-	-	99,60	კვალი	კვალი	ექსპერიმენტები მიმდინარეობდა ოთახის ტემპერატურაზე, აიროვანი ამიაკით, სარეველას ბრუნვის რიცხვი: 250 ბრ/წთ
2	2,08	-	-	95,50	კვალი	კვალი	
3	3,2	-	-	98,10	1,60	0,20	
4	3,51	-	-	96,30	4,20	2,40	
5	4,21	-	-	ვალი	99,50	0,20	
6	4,50	-	-	ვალი	კვალი	კვალი	
7	5,00	-	-	ვალი	კვალი	კვალი	

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ რკინის გამოლეკვა შერეული ნიტრატული ხსნარებიდან იწყება 1,85 pH-ზე და გამოლეკვა მთავრდება, როდესაც pH = 4,21. შესაბამისი სიდიდეები ალუმინისთვის ტოლია pH=3,2 და 4,5; ფოსფორისთვის pH=3,2 და 4,21. ჩვენი რეკომენდაციით, შერეული ნიტრატული ხსნარებიდან მინარეგებისგან გაწმენდა უნდა განხორციელდეს აიროვანი ამიაკით pH=4–დან 5-დე ზღვრებში. იგივე რეაქტორში, სადაც ტარდება კარბონატული მადნის აზოტმჟავური დამუშავება, მინარეგების დალექვის შემდეგ მიღებული სუსპენზია იფილტრება ბიუნხერის ძაბრის გამოყენებით. საშუალო სიჩქარე, როდესაც ფენის სისქე 10-13 მმ-ია, ვერცხლისწყლის სვეტის 400-500 მმ გაიშვიათებისას, არ აღემატება 50-60 ლ/მ<sup>2</sup> ·სთ.

შემდგომში ექსპერიმენტულად დამტკიცებულ იქნა, რომ ფილტრატის სიჩქარე გადაჭრით შეიძლება გაიზარდოს, თუ მასში არსებულ კალციუმის ნიტრატს გადავიყვანთ ნალექში ამონიუმის სულფატის ხსნარის დახმარებით:



შემოთავაზებული რეაგენტი არა მარტო მნიშვნელოვნად ზრდის პირველადი სუსპენზიის ფილტრატის სიჩქარეს, არამედ მისი გამოყენებით ნაკლებად იაფი ამონიუმის სულფატი გადადის ამონიუმის გვარჯილაში, რომლის ღირებულება ორჯერ აღემატება ამონიუმის სულფატის ფასს.

თხევადი ფაზის ქიმიური შედეგნილობა გ/ლ :

Mn(NO<sub>3</sub>)<sub>2</sub> - 91,5 გ/ლ

Mg(NO<sub>3</sub>)<sub>2</sub> - 2,3 გ/ლ

Ca(NO<sub>3</sub>)<sub>2</sub> - 1,3 გ/ლ


NH<sub>4</sub> NO<sub>3</sub> - 184 გ/ლ

ცხრილი 4. ლამის ქიმიური შედგენილობა


No	კომპონენტების დასახელება	ნედლი ლამი	200 <sup>0</sup> C-ზე გამომშრალი ლამი, %
1	CaSO <sub>4</sub>	25,5	43,96
2	SiO <sub>2</sub>	24,4	41,96
3	MnO <sub>2</sub>	3,2	5,60
4	Fe(OH) <sub>3</sub>	1,8	3,16
5	Al(OH) <sub>3</sub>	1,5	3,26
6	FePO <sub>4</sub>	1,2	2,06
7	H <sub>2</sub> O	4,2	-

მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 170-200<sup>0</sup>C-ზე გამომშრალი ლამი შეიცავს 40%-დე თაბაშირს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ცემენტის წარმოებაში ან სამშენებლო საქმეში შემკვრელი მასალის სახით (როგორც საყოველთაოდ ცნობილია, შემკვრელ მასალებზე დიდი მოთხოვნილებაა).

მანგანუმის დალექვა ნიტრატული ხსნარებიდან ხორციელდება აირადი ამიაკით, უწყვეტი მორევის პირობებში, როდესაც pH=8,5-დან 10,0-დე ზღვრებშია. გამოყოფილი Mn(OH)<sub>2</sub> კარგად იფილტრება, მაგრამ ამ შემთხვევაში სასარგებლო პროდუქტის სრული დალექვა არ ხორციელდება იმის გამო, რომ დალექვის პროცესი შექცევადია:



აღნიშნული მიზეზის გამო ხსნარში დარჩენილი 10-15% მანგანუმი მიზანშეწონილია გადაყვანილ იქნას ნალექში ნახშირორჟანგის და აირადი ამიაკის დახმარებით:



მიღებული მანგანუმის კარბონატი, რომელიც შეიცავს მანგანუმის უმნიშვნელო რაოდენობას, გარეცხვისა და გაფილტვრის შემდეგ 800<sup>0</sup>C-დე გახურებისას გადადის მანგანუმის კონცენტრატში (Mn<sub>2</sub>O<sub>3</sub>), რომელშიც Mn – 63,6 %, Ca – 0,3%, Mg – 1,2%.

თხევად ფაზაში მიიღება 174გ/ლ კონცენტრაციის NH<sub>4</sub>NO<sub>3</sub>, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თხევადი სასუქის სახით, ან გადაამუშავდეს მშრალ პროდუქტად.

მანგანუმის დიოქსიდის მიღება შესაძლებელია ნიტრატული ხსნარების თერმული დაშლით, 160-450<sup>0</sup>C-ზე, ამ დროს მიიღება β-MnO<sub>2</sub>.

მანგანუმის ჰიდროჟანგის გამოწვევით 700-800<sup>0</sup>C სამი-ოთხი საათის განმავლობაში მიიღება მანგანუმის კონცენტრატი და ცხელ მდგომარეობაში გამოიტუტება აზოტმჟავა არეში:



აზოტმჟავას კონცენტრაციის გავლენა მანგანუმის დიოქსიდის დაჟანგვის ხარისხზე პრაქტიკულად უმნიშვნელოა, ტემპერატურის მატებით Mn<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის გადასვლის სიჩქარე γ-MnO<sub>2</sub>-ში იზრდება და მაქსიმუმს აღწევს 80-90<sup>0</sup>C-ზე, პროცესი მთავრდება 30 წუთში. აქტიური მანგანუმის დიოქსიდი მიიღება, როდესაც გაღობილი მასა MnO<sub>1,5</sub> შედგენილობით უახლოვდება მანგანუმის კონცენტრატებს.

ამრიგად, შემოთავაზებულია ჭიათურის მანგანუმმცველი საბადოს კარბონატული მადნიდან მანგანუმის დიოქსიდის მიღების გზა. მადნის გამოტუტვის პროცესი ხორციელდება აზოტმჟავის მეშვეობით, ამიაკით გასუფთავების შემდეგ, რომელიც წარმოებს 4-დან 5-დე pH-ის პირობებში. ტექნოლოგიური სქემა მანგანუმის კონცენტრატების Mn<sub>2</sub>O<sub>3</sub> მიღების საშუალებას იძლევა, რომლის გადაამუშავებით შესაძლებელია მანგანუმის დიოქსიდის მიღება [5].



**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. *Пурцеладзе Х.Г.* Авт. свидетельство (СССР) N115032. Способ переработки марганцевых карбонатных руд, 1957.
2. *Чкония Т.К., Пурцеладзе Б.Х. и др.* К вопросу очистки смешанного нитратного раствора от кальция и магния. Реф. Сб. „Марганец», 6, 126. Тбилиси, 1989, с. 15-17.
3. *Чкония Т.К., Пурцеладзе Б. Х. и др.* Способ переработки марганцевых карбонатных руд. Авт. свидетельство N 1497252, Б.И. N28, 1989.
4. *თ.ჭყონია, ბ.ფურცელაძე, ი.ჩხაიანი, ე.შოშიაშვილი, ი.რაქვიაშვილი, მ.სვანიძე, ვ.ცხველიანი, თ.მასლენცოვა, ი.ჩხაიძე.* ადგილობრივი წიაღისეულიდან რეაქტივული მანგანუმის კარბონატის მიღება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2004, ტ. 30, №3-4, გვ. 393-395.
5. *ბ.ფურცელაძე, თ.ჭყონია, ე.შოშიაშვილი, მ.სვანიძე, მ.ავალიანი, ი.ჩხაიძე, თ.ლეჟავა, ნ.ბარნოვი.* მანგანუმის კარბონატული მადნის გადამუშავების ტექნოლოგიის გამოცდის შედეგები გამსხვილებულ პილოტურ დანადგარზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, 2010, ტ. 36, №1, გვ. 9-13.

**PRODUCING OF MANGANESE DIOXIDE FROM CARBONATE MANGANESE ORES**

Boris Purtseladze, Tengiz Tchkonია, Eteri Shoshiashvili, Marina Avaliani, Izolda Chkhaidze, Makvala Svanidze, Lia Svanidze, Tamar Lejava

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Rafael Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry*

**SUMMARY**

It was proposed a method to obtain manganese dioxide from Chiatura carbonate manganese ore. The process of leaching of ore is executed by means of the nitric acid, after cleaning by ammonium at pH = 4-5. The technological scheme permits to obtain manganese concentrates  $Mn_2O_3$ , the processing of which enables to produce manganese dioxide.

**ПОЛУЧЕНИЕ ДИОКСИДА МАРГАНЦА ИЗ КАРБОНАТНОЙ РУДЫ МАРГАНЦА**

Б.Х.Пурцеладзе, Т.К.Чкония, Э.Н.Шошиашвили, М.А.Авалиани, И.В.Чхаидзе, М.И.Сванидзе, Л.К.Сванидзе, Т.Т.Лежава

*Тбилисский Государственный Университет  
Институт Неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе*

**РЕЗЮМЕ**

Предложен способ получения диоксида марганца из Чиатурских карбонатных марганцевых руд. Процесс выщелачивания руды осуществляется азотной кислотой, после аммиачной очистки при pH = 4-5. Технологическая схема позволяет получать марганцевые концентраты  $Mn_2O_3$ , переработка которого дает возможность производить диоксид марганца.

**d-მეტალთა ტეტრათიონათიმონატებსა (V) და მათი ბარდაქმნის პროდუქტებში  
სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა**

მადონა სამხარაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე აუცილებელია რეფერატული ჟურნალისათვის

სტიბიუმისა და მისი გარდაქმნის პროდუქტების რაციონალური გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ამ ელემენტის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდის სრულყოფა წარმოადგენს. ეს მეთოდი, უნდა იყოს ზუსტი, ადვილად განხორციელებადი, ხელმისაწვდომი. ნახევარგამტარული სისტემების ყოფა-ცხოვრებაში დანერგვასთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი სტიბიუმიც, მკვეთრად გაიზარდა ამ უკანასკნელის ანალიზური ქიმია, თუმცა მისი რაოდენობრივი განსაზღვრის პირველი ცდები თითქმის ორ საუკუნეს მოიცავს [1]. იმის გამო, რომ სტიბიუმის საერთო შემცველობა დედამიწის ქერქში არ აღემატება  $4 \cdot 10^{-5} \%$  (მას.), დღეისათვის დამუშავებულია ეფექტური ხერხები მისი დაკონცენტრირებისა და თვისობრივ-რაოდენობრივი განსაზღვრისა არა მხოლოდ ბუნებრივ ობიექტებში (ნიადაგი, წყალი, ქანები, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები), არამედ ორგანულ ნაერთებშიც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელოვნურად არის სინთეზირებული.

დღეისათვის ცნობილია და პრაქტიკულადაც გამოიყენება სტიბიუმის განსაზღვრის რამდენიმე ხერხი. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ტიტრირებულ მეთოდებს გააჩნია. თუმცა ცნობილია აგრეთვე განსაზღვრის გრავიმეტრული მეთოდები, რომლებიც სიზუსტით გამოირჩევიან მოცულობითთან შედარებით, მაგრამ ძალიან შრომატევადია. ანალიზის გრავიმეტრული მეთოდებიდან საყურადღებოა, ის ხერხები, რომლებიც ეყრდნობიან  $Sb_2S_3$ -ის,  $Sb_2O_4$  [2], ან მეტალური სტიბიუმის მიღებას.

სტიბიუმის(III) სულფიდის სახით სტიბიუმის განსაზღვრის საფუძველია, წონაკის გახსნა 2,5 მოლურ მარილმჟავაში გოგირწყალბადის სწრაფი ნაკადით გაჯერებისას  $90-100^{\circ}C$ -ის პირობებში. გაზის გატარების ხანგრძლივობა და კოლბის შიგთავსის მორევა შეადგენს 30-35 წუთს, რათა სტიბიუმის(III) ქლორიდი რაოდენობრივად გადავიდეს სტიბიუმის ტრისულფიდის მდგომარეობაში. გულდასმით გასუფთავების შემდეგ ნალექი  $280-300^{\circ}C$ -ზე გადაჰყავთ ასაწონ ფორამდე, რის მიხედვითაც საზღვრავენ ნიმუშში დომინანტი ელემენტის პროცენტულ შემცველობას.

ზემოაღწერილი მეთოდის ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სტიბიუმის განსაზღვრას ხელს უშლის ყველა ის ელემენტი, რომელიც გოგირდწყალბადით ილექება მჟავა არეში შესაბამისი სულფიდის სახით.


ჩვენს მიერ სინთეზირებულ d-მეტალთა ტეტრათიონათიმონატებსა(V) და მათი გარდაქმნის პროდუქტებში სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ევინსის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენების საფუძველს იძლეოდა, პროფ. რ. გიგაურის მიერ ჩატარებული კვლევები - მან აჩვენა [3], რომ ევინსის მეთოდით დარიშხანის რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება შესაძლებელია, დარიშხანშემცველი არაორგანული ნაერთების მიმართ (მათ შორის დარიშხანშემცველ კომპლექსებში) [4,5]. ეს მეთოდი განსაკუთრებულად გამოსაყენებელია, იმ თვალსაზრისის გამო, რომ იგი ეხმარება ექსპერიმენტატორს, როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ნაერთებში დარიშხანის რაოდენობრივი განსაზღვრაში [3].

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სტიბიუმი დარიშხანის ელემენტ-ანალოგს წარმოადგენს, სინთეზირებულ d-მეტალთა ტეტრათიონათიმონატებისა და მათი კომპლექსური ნაერთების ანალიზის პროცესში დაისვა საკითხი: შესაძლოა თუ არა ევინსის მეთოდით სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლოდ ითვლება, რადგან სტიბიუმი ზემოთხსენებულ ნაერთებში იმყოფება  $SP^3$  ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაში ე.ი. იოდის ტიტრირების ხსნარით გატიტრების მეთოდი აქ გამოყენებადი. სინთეზირებულ ნივთიერებათა მჟავით ( $HCl$ ,  $H_2SO_4$ ) დამუშავებისას, ადგილი აქვს სტიბიუმის(V) სულფიდის წარმოქმნას თითქმის 80% გამოსავლიანობით, სადაც სტიბიუმის დაჟანგულობის ხარისხი +5-ის ტოლია. ე.ი. საჭირო იყო საანალიზო ნიმუშის კონდიციამდე მიყვანა, ანუ სტიბიუმის სრული აღდგენა +3 დაჟანგულობის მდგომარეობამდე. ეს მოთხოვნა მაქსიმალურად


მიღწევადია ევინსის მეთოდით დარიშხანის რაოდენობრივი განსაზღვრისას, როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ ნაერთებში.

პირველივე ცდებმა ცალსახად დაგვარწმუნეს, რომ გარდამავალ მეტალთა(II) ტეტრათიონათიონატებში(V) სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრა იოდომეტრული ხერხით სავსებით გამართლებულია, თუ ნიმუშს საანალიზოდ მოვამზადებთ ისეთ პირობებში, როგორც ეს აღწერილი აქვს ევინსს, დარიშხანის განსაზღვრისას ორგანულ ნაერთებში. ამ ხერხის დეტალურმა შესწავლამ გვაჩვენა ისიც, რომ იოდომეტრია ერთ-ერთი ყველაზე მისაღები მეთოდია ტიტრირებულ მეთოდებთან, თვით ბრომატომეტრიასთან შედარებითაც კი.

ჩვენს მიერ გამოყენებულ მეთოდში ნიმუშის დაშლა ხდება ძლიერ მჟავა გარემოში ( $H_2SO_4$ ), ხოლო აღდგენა-სახამებლის გამოყენებით. მიიღება ხსნარი, რომელშიც სტიბიუმი იმყოფება,  $Sb_2O_3$ -ის სახით ანუ ყველაზე სააღბათოა,  $Sb^{+3}$  იონების მდგომარეობაში. მისი შემდეგი მისი განსაზღვრა არ წარმოადგენს სირთულეს სუსტ ტუტე გარემოში:



ან:



გატიტვრას ახდენენ სოდის ხსნარში, ინდიკატორად გამოიყენება სახამებელი, ხოლო ინტენსიური ლურჯი ფერის წარმოქმნა საანალიზო ხსნარში გატიტვრის დასრულებაზე მიუთითებს. რადგან ეს ხერხი პირველად იქნა გამოყენებული ტეტრათიონათმჟავა მარილებისა და მათი გარდაქმნის პროდუქტებში სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, საჭირო გახდა საძიებელი ელემენტის პროცენტული შემცველობის გამოსათვლელი ფორმულის გამოყვანა. ეს საშუალებას მოგვცემდა შემდეგში სტიბიუმი გავგესაზღვრა ნებისმიერი შედგენილობის მარილსა და კოორდინაციულ ნაერთში. როგორც მე-2 ტოლობიდან ნათლად ჩანს, 1 მოლი  $Sb^{+3}$  ექვივალენტურია 1 მოლი იოდის. ამ ფაქტზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ გასატიტრად გამოიყენება იოდის 0,05N ხსნარი, სტიბიუმის რაოდენობრივი შემცველობის გამოსათვლელი ფორმულის გამოყვანა შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრული მსჯელობით: დაუშვათ საანალიზოდ აღებულია  $x$  გ სტიბიუმის შემცველი ნაერთი და ევინსის მეთოდით დამუშავების შედეგად მიღებული ხსნარის გატიტვრაზე დაიხარჯა  $V$  მლ იოდის 0,05N ხსნარი.,

$$Sb = 0,30436 \cdot V / g \cdot \%$$

ამ ფორმულით ვახდენდით სტიბიუმის პროცენტული შემცველობის გამოთვლას არა მხოლოდ სინთეზირებულ d-მეტალთა(II) ტეტრათიონათიონატებში(V), არამედ შესაბამის კოორდინაციულ ნაერთებშიც.

სტიბიუმის განსაზღვრის მეთოდიკის შემოწმების მიზნით შესწავლილი იქნა სამი სახეობის სტანდარტული ნიმუში  $Sb_2S_3$ ,  $Sb_2O_3$ ,  $Sb_2O_5$  (ქიმიურად სუფთა). მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ  $Sb_2S_3$ -ის შემთხვევაში სტიბიუმის განსაზღვრული რაოდენობა მეტია თეორიულთან შედარებით, ხოლო სხვა შემთხვევებში ეს სიდეები ნაკლებია. მიღებული შედეგების შემოწმების მიზნით იგივე ნივთიერებები შესწავლილ იქნა ბრომატომეტრიის მეშვეობითაც. ამ მეთოდით მიღებული პრაქტიკული მანაცემები თითქმის არ განსხვავდება ევინსის მეთოდით სტიბიუმის რაოდენობრივი განსაზღვრის შედეგებისაგან. ეს ადასტურებს ამ ხერხის უნივერსალურობას.

ამრიგად, კვლევის შედეგად დაგენილ იქნა, რომ გარდამავალ მეტალთა ტეტრათიონათიონატებში(V) და მათი გარდაქმნის პროდუქტებში სტიბიუმი ყველაზე უკეთ ისაზღვრება ევინსის მეთოდით, რაც გულისხმობს წონაკის დამუშავება-აღდგენას სახამებლით გოგირდმჟავა გარემოში და მიღებული სტიბიუმი (III)-ის გატიტვრას იოდის ტიტრიანი ხსნარით სუსტ ტუტე გარემოში. ამ ხერხის უპირატესობა, სხვა მეთოდებთან შედარებით ის არის, რომ ნიმუში არა მხოლოდ უბრალოდ იხსნება, არამედ სტიბიუმი რა დაჟანგულობის ხარისხიც არ უნდა ჰქონდეს საანალიზო ნივთიერებაში, რაოდენობრივად აღდება, რომლის შემდგომი განსაზღვრა ცნობილი იოდომეტრული მეთოდით სიმწიფეს არ წარმოადგენს.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Аналитическая химия сурьмы. Немодрук А.А. Москва: «Наука», 1978.
2. Практическое руководство по неорганическому анализу. Гиллебранд В.Ф., Лендел Г.Е., Брайт Г.А., Гофман Д.И. Москва: Госхимиздат, 1957.
3. Гигаური Р.Д. Синтез и превращения органических соединений мышьяка на базе  $As_4O_6$ . Дисс. докт. техн. наук, Тбилиси, 1987.
4. ხელაშვილი გ.კ. d-მეტალთა მონოთიორსენატები და მათი კოორდინაციული ნაერთები აზოტშემცველ ლიგანდებთან. სინთეზი და გამოკვლევა. დის. ქიმ. მეცნ. კანდ., თბილისი, 1998.
5. დიდბარიძე ი.ს. ტეტრათიოდარიშხანმჟავას d-მეტალთა მარილები და მათი კოორდინაციული ნაერთები მონო- და ბიდენტატურ აზოტშემცველ ლიგანდებთან. დის. ქიმ. მეცნ. კანდ., თბილისი, 1998.

**DETERMINATION OF STIBIUM IN TETRATHIOANTHIMONATES(V) OF d-METALS AND IN PRODUCTS OF THEIR TRANSFORMATION**

Madona Samkharadze

*A. Tsereteli Kutaisi State University***SUMMARY**

Possibility of determination of stibium in tetrathioanthimonates(V) of d-metals and products of their transformation by Evins' method has been established. The advantage of the said method in comparison with others is, that model does not only open, but stibium recovers and after this it is not difficult to determine it.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ СУРЬМЫ В ТЕТРАТИОАНТИМОНАТАХ(V) d-МЕТАЛЛОВ И В ПРОДУКТАХ ИХ ПРЕВРАЩЕНИЯ**

М.Г.Самхарадзе

*Кутаисский Государственный Университет им. Ак. Церетели***РЕЗЮМЕ**

Установлено, что сурьма в тетратиоантимонатах(V) d-металлов и в продуктах их превращения хорошо определяется методом Эвинса, преимущество которого состоит в том, что находящаяся в образце сурьма не только растворяется, но и восстанавливается, после чего сурьму несложно определить иодометрическим методом.

**ტრიმეზინის მჟავას აღსორბცია ვერცხლისწყალზე  
ეთანოლისა და წყალხსნარებიდან**

შუქრი ჯაფარიძე, ირინე გურგენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგლადის არაორგანული  
ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი*

ბენზოლკარბონმჟავები და კერძოდ, ტრიმეზინის (1,3,5-ბენზოლტრიკარბონ) მჟავა, გამოიყენებიან მედიცინაში და ფარმაკოლოგიაში პერსპექტიული სისხლშემცველების სინთეზისათვის, ორთოპედიის და სტომატოლოგიისათვის საჭირო ბიომასალებისა და კომპოზიციური მასალების დასამზადებლად, ისინი ხასიათდებიან სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობით, ამიტომ მათი თვისებების შესწავლას შეეძენებოდა მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული მიზანიც გააჩნია.

ბიოლოგიურად აქტიური ბენზოლკარბონმჟავების ელექტროქიმიური კვლევა ჩატარებულ იქნა ვოლტამპერული გაზომვების მეთოდის გამოყენებით მყარ ელექტროდებზე როგორც წყალხსნარებში, ასევე ეთილის სპირტისა და პირიდინის წყალთან ნარევებში [1,2]. დადგენილია, რომ აღნიშნული მჟავების ვოლტამპეროგრაფებზე ყველა შემთხვევაში აღინიშნება ტალღები, რომლებიც შეესაბამება წყალბადის იონების განმუხტვას. განზავებულ ხსნარებში ( $10^{-4}$ – $10^{-3}$  M) წყალბადის იონების საერთო კონცენტრაციის მიღების თვალსაზრისით ეს მჟავები შეიძლება განვიხილოთ როგორც სუსტი ორფუძიანი მჟავები.

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ტრიმეზინის მჟავას აღსორბცია ვერცხლისწყლის ელექტროდზე ეთანოლისა და წყალხსნარებიდან ცვლადი დენის ბოგირის გამოყენებით დიფერენციალური ტევადობის (C) ელექტროდის პოტენციალზე (E) დამოკიდებულების (C,E-მრუდების) გაზომვის მეშვეობით. საკვლევ ელექტროდად გამოყენებული იყო ვერცხლისწყლის დაკიდული წვეთი, რომლის განახლება ხდებოდა ელექტროქიმიურ უჯრედში ჩამონტაჟებული მინის პატარა მოძრავი ნიჩბით. დამხმარე ელექტროდად გამოყენებული იყო უჯრედის ფსკერზე დასმული წრიული რგოლის ფორმის მქონე ვერცხლისწყალი, შესადარებელ ელექტროდად კი – კალომელის ნაჯერი ელექტროდი [3]. საბუშარში გამოყენებული ყველა რეაქტივი გასუფთავებული იქნა ლიტერატურაში არსებული მეთოდების მიხედვით. “Aldrich”-ისა და “Fluka”-ს კომპანიების ტრიმეზინის მჟავა მაღალი სისუფთავის რეაქტივია. გაზომვები ხდებოდა ინერტული ატმოსფეროს მქონე თერმოსტატირებულ ელექტროქიმიურ უჯრედში  $20 \pm 0,5^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის დროს.

ნახ.1-ზე მოცემულია ტრიმეზინის მჟავას შესაბამისი C,E-მრუდები, სადაც მრ.1 შეესაბამება  $0,5$  M  $\text{NaClO}_4$ -ის ხსნარს, ხოლო მრ. 2÷7 კი ტრიმეზინის მჟავას დანამატიან ხსნარებს. როგორც ნახაზიდან ჩანს, ტრიმეზინის მჟავას მოლეკულები აღსორბირდებიან ვერცხლისწყალზე ეთანოლის ხსნარებიდან, ისევე როგორც წყალხსნარებიდან, ძირითადად ელექტროდის მცირე უარყოფითი პოტენციალების დროს, ანუ C,E-მრუდების ანოდურ უბანში ( $E=0 \div -300$  მვ). ელექტროდის ანოდური პოლარიზაციის დროს ხდება აღსორბატის მოლეკულების  $\pi$ -ელექტრონული ურთიერთქმედება დადებითად დამუხტულ ზედაპირთან [4]. ტევადობის მაქსიმალური შემცირება ( $C' = 18,3$  მკფ/სმ<sup>2</sup>) ხდება  $E = -50$  მვ ფარგლებში. [1]-ის თანახმად ბენზოლკარბონმჟავები განზავებულ ხსნარებში ძირითადად იმყოფება დიდი ზომის არომატული იონის სახით. ამიტომ ელექტროდის ანოდური პოტენციალების დროს ერთმანეთს ედება ზედაპირთან  $\pi$ -ელექტრონული და ელექტროსტატიკური მიზიდულობის ეფექტი. ელექტროდის კათოდური პოტენციალების ზრდის დროს ( $E = -1200$  მვ) C,E-მრუდებზე (ნახ.1 მრ. 2÷7) აღსორბატის მოლეკულების კონცენტრაციის ზრდისას ადგილი აქვს აღსორბცია-დესორბციის პიკების სიმძლავის შესაბამისი ტევადობის მონოტონურ ზრდას. კათოდური პიკების სიმძლავლე მატულობს და მათი შესაბამისი პოტენციალი კანონზომიერად ინაცვლებს კათოდურ მხარეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი აღსორბცია-დესორბციის პიკები არიან. მაღალ უარყოფით პოტენციალებზე ( $E = -1700$  მვ) C,E-მრუდები (მრ. 2÷7) კონცენტრაციის მთელ დიაპაზონში ემთხვევა ფონის მრუდს (მრ.1), რაც ელექტროდის ზედაპირიდან ტრიმეზინის მჟავას მოლეკულების სრული დესორბციის მაჩვენებელია. წყალხსნარებიდან მიღებული ტრიმეზინის მჟავას აღსორბციის შესაბამისი C,E-მრუდები ფორმით, ანუ თვისობრივად, გავს ეთანოლის ხსნარებიდან მიღებულ C,E-მრუდებს. ამ ორი გამხსნელიდან საბაზისო

მრუდების დამუშავებით მიღებული აღსორბციული პარამეტრების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 1. აღსორბციული პარამეტრების გამოსათვლელად გამოყენებულ იქნა ელექტროდებზე ორგანულ ნივთიერებების აღსორბციის ფრუჰკინ-დამასკინის თეორიიდან გამომდინარე განტოლებები [4].

C,E-მრუდის (ნახ. 1) ინტეგრირებით გათვლილია ელექტროდის ზედაპირის მუხტის (q) მნიშვნელობები:

$$q = \int C dE \quad (1)$$

და აგებულია q,E-მრუდები (ნახ. 2), რომელთა შემდგომი ინტეგრირებით (2) ფორმულის თანახმად:

$$\sigma = \int q dE \quad (2)$$

გათვლილია სასაზღვრო დაჭიმულობის სიდიდეები და აგებულია  $\sigma$ ,E-მრუდები.

ტოლობიდან:

$$C = C_0(1-\Theta) + C' \Theta, \quad (3)$$

გაითვალა ორგანული ნაერთით ელექტროდის ზედაპირის დაფარვის ხარისხი

$$\Theta = (C_0 - C) / (C_0 - C_1), \quad (4)$$

	$\delta\text{H}$	$\delta\text{C}$	$\delta\text{H}$	$\delta\text{C}$	$\delta\text{H}$	$\delta\text{C}$	$\delta\text{H}$	$\delta\text{C}$
2	8.06, s	150.81	8.15, s	153.8	8.15	150.10	8.36, s	153.0
3	-	124.87	-	124.8	-	123.95	-	123.7
4	-	177.60	-	176.8	-	-	-	175.8
5	8.08, d(8,7)	128.10	8.13, d(8,8)	127.2	7.09, d(8,8)	128.0	8.04, d(8,8)	127.8
6	7.42, dd(8,7; 2,3)	116.01	7.16, d(2,3)	115.9	7.48, dd(8,7; 2,3)	114.9	7.22, d(2,7)	115.6
7	-	163.71	-	162.58	-	161.30	-	161.0
8	6.92, d(2,3)	102.92	7.43	103.9	7.10, d(2,3)	102.86	7.14, d(8,8; 2,2)	103.4
9	-	159.0	-	158.45	-	158.80	-	157.2
10	-	117.73	-	119.80	-	118.70	-	118.5
1'	-	125.16	-	125.10	-	122.17	-	122.0
2',6'	7.55, d(8,9)	129.00	7.45, d(8,9)	130.77	7.50, d(8,9)	127.30	7.40, d(2,1)	127.0
3',5'	6.96, d(8,9)	114.45	6.97, d(8,9)	113.90	6.82, d(8,6)	115.15	6.80, d(8,6)	115.6
4'	-	160.27	-	160.10	-	166.9	-	167.0
4'-OCH <sub>3</sub>	3.82, s	55.61	3.82, s	55.62	-	-	-	-
1''			5.6, d(7,6)	101.86			5.10, d(7,5)	100.8
2''			3.54, m	73.87			3.51, m	70.2
3''			3.52, m	77.48			3.54, m	77.1
4''			3.49, m	70.48			3.41, m	73.4
5''			3.56, m	78.34			3.57, m	77.1
6''A			3.35, dd (12,0; 8,0)	61.93			3.39, dd(12,5.2)	61.3
6''B			3.48, dd(12,0; 2,2)				3.70, dd(12,0; 2,2)	

**Вещество 4** – состава  $\text{C}_{15}\text{H}_{10}\text{O}_4$ , масс-спектр (ЭУ, 70 эВ),  $m/z$  ( $I_{\text{отн}}$ , %): 254 ( $\text{M}^+$ , 100), т.пл. 253-254 °С (метанол). ИК спектр (КВг,  $\nu$ ,  $\text{см}^{-1}$ ): 3480, 3350 (ОН), 1653 (C=O), 1605, 1565, 1515 (Ar); УФ-спектр (EtOH,  $\lambda_{\text{max}}$ , нм): 303, 260пл.; 269пл, 249, 238; +  $\text{CH}_3\text{COONa}$ : 315, 258; EtONa 332, 256; на Б/Х проявляется на уровне достоверного дайдзеина. Вещество идентифицировано как 7,4'-дигидроксиизофлавонон [13-16].

**Вещество 5** – белые кристаллы, состава  $\text{C}_{21}\text{H}_{20}\text{O}_9$ , масс-спектр (ЭУ, 70 эВ),  $m/z$  ( $I_{\text{отн}}$ , %): 416 ( $\text{M}^+$ , 100), т.пл. 215-218 °С. ИК спектр (КВг,  $\nu$ ,  $\text{см}^{-1}$ ): 3300, 3350 (ОН), 1653 (C=O), 1605 (Ar); УФ-спектр (EtOH,  $\lambda_{\text{max}}$ , нм): 310, 258; + EtONa 350, 270. В условиях кислотного гидролиза соединение 5 расщепляется на агликон (т.пл. 252-255 °С), который идентифицирован как дайдзеин [8]. В углеводной части гидролизата обнаружена D-глюкоза. Анализ данных  $^1\text{H}$  и  $^{13}\text{C}$  ЯМР спектров, аналогично веществу 3, приводит к заключению, что углеводная часть к генину присоединена к ОН-группе при С-7 генина. Следовательно, вещество 5 охарактеризовано как 4'-гидрокси-7-О- $\beta$ -D-глюкопи ранозилизофлавонон или дайдзин [13-16].

Вещества 1-5 из *Ononis arvensis* флоры Грузии изолированы впервые.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. А.И. Тулайкин, Г.П.Яковлев. Разнообразие фенольных соединений рода *Ononis* (FABACEAE) Обзор. *Растит.ресурсы*, 2007, 43(3), 140-160.
2. Флора Грузии, т. VII, из-во «Мецნიერება», Тбилиси, 1981 (на груз. языке), 42-46.
3. O.N. Allen, E.K. Allen. The Leguminosae. Kingsport.1981.
4. K.H. Shaker, K. Dockendorff, M. Bernhardt, K. Seifert. A new triterpenoid saponin from *Ononis spinosa* and two new flavonoid glycosides from *Ononis vaginalis*. *Z. Naturforsch.*, 2004, 29b, 124-128.
5. E. Wollenweber M, Dorr, D. Rivara, J.N. Roitman. Externally accumulated flavonoids in three mediterranean *Ononis* species. *Z. Naturforsch.*, 2003, 58c(11-12), 771-775.
6. М.Б.Сичинава, М.Д.Алания, И.И. Мониава. Предварительное исследование некоторых видов рода *Ononis* L. на содержание биологически активных соединений, произрастающего

- в Грузии. Сборник научных трудов Института фармакохимии им. И.Г.Кутателадзе «Изучение биологически активных соединений из растительного и минерального сырья Грузии», 2009, I(17), 22.
7. А.Л.Буданцев, Е.Е. Лесиовская, Дикорастущие полезные растения России, СПб, 2001.
  8. Lexique des remedes Homeopathiques de la nomenclature française/ Docteur Robert Seror./ <http://www.homeoint.org.seror/lexique/lexhomop.htm>, 2005.
  9. E. Marhuenda, M.D. Garcia, Demonstration of the antimicrobial properties of flowers of *Ononis natrix* L. Identification of ferulic acid. *Planta. Med. Rhytother.* 1985a, 13(3), 163-172.
  10. M.I.Montero, A.Moran, M.L. Martin, L. San Roman. Pharmacological screening of *Ononis pubescens* L. *Int.J. Crude Drug Res.*, 1988, 26, 215-219.
  11. М.Б.Сичинава, М.Д. Алания., М.Г. Сутиашвили, Дж.Н Анели.α- Оноцерин из корней *Ononis arvensis*, произрастающей в Грузии. Сборник научных трудов Института фармакохимии им. И.Г.Кутателадзе «Изучение биологически активных соединений из растительного и минерального сырья Грузии», 2010, I(17), 7.
  12. Н.Ф.Чкадуа, М.Д.Алания, Э.П.Кемертелидзе. Флавоноиды корневищ *Pueraria hirsuta*, *Химия природ. соедин.*, 1996, 945-946.
  13. Н.Ф.Чкадуа. Флавоноидные Соединения *Pueraria hirsuta* L.- пуерарии шерстистой, произрастающей в Грузии, *Автореф.дисс.канд.фарм. наук*, Тбилиси, 1999, 47с.
  14. М.А.Dement, Т.Т.Мабру. Flavonoids of north american species of *Thermopsis* *Phytochem.*, 1972, 11(3), 1089.
  15. А.Л. Казаков, А.Л.Шинкаренко, Э.Т.Оганесян. Ононин и формононетин из представителей рода *Trifolium*. *Химия природ.соедин.*, 1972, 804.
  16. P.K. Agrawal, In: *Carbon-13 NMR of Flavonoids, Elsevier, Science, New York*, 1989,39, 192

### საქართველოს ფლორის *Ononis arvensis* მიწისზედა ნაწილების ქიმიური კომპონენტები

მანუჩარ სიჭინავა, მარინა სუთიაშვილი, მერი ალანია, ვალერი მაი-ლედეტი\*, ეველინ ოლივიე\*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი  
\*მარსელის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტის  
ფარმაკოგნოზის და ჰომეოპათიის ლაბორატორია  
რეზიუმე

შესწავლილია საქართველოში მოზარდი ფშნის ეკლას – *Ononis arvensis* მიწისზედა ნაწილების ქიმიური შედგენილობა. დადგენილია, რომ მცენარე შეიცავს ტრიტერპენულ სპირტს და ფლავონოიდებს. გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ტრიტერპენული სპირტი – α-ონოცერინი და იზოფლავონები – დაიდზეინი, დაიდზინი, ფორმონონეტინი და ონონინი. ეს ნაერთები საქართველოში მოზარდი მცენარიდან პირველად გამოყოფილი.

### CHEMICAL COMPONENTS OF OVERGROUND PARTS OF *Ononis arvensis* FROM GEORGIAN FLORA

Manuchar Sichinava, Marina Sutiashvili, Meri Alania, Valerie Mahiou-Leddet\*, Evelyne Ollivier\*  
Iovel Kutateladze Institute of Pharmacochimistry  
of Tbilisi State Medical University

\*Laboratoire de Pharmacognosie – Ethnopharmacologie – Homeopathie UMR-MD3-Universite d'Aix-Marseille. Faculte de Pharmacie; 13385, Marseille cedex 5

### SUMMARY

Chemical content of overground parts of *Ononis arvensis* has been studied. There is established that plant consist triterpenoidal alcohol and flavonoids. There were isolated and identified triterpenoidal alcohol α-onocerin and isoflavones – daidzein, daidzin, formononetin and ononin. The compounds from plant isolated in first time growing in Georgia.

## ახალი ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი ატმის ბუგრების საწინააღმდეგოდ

ომარ ლომთაძე, ლუდმილა ცხვედაძე\*, დავით კაკაშვილი\*, ნინო ლომთაძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

\*საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების მიმართულებით გამკაცრებული მოთხოვნების უზრუნველყოფისათვის აქტუალურია, საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის - ხეხილის მავნებელ-დაავადებებისგან დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო სისტემის შემუშავება. აღნიშნული სისტემის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ხეხილის მავნებლებთან ბრძოლის უსაფრთხო ინსექტო-აკარიციდული და ფუნგიციდური თვისებების მქონე ბიორგანული საშუალებების გამოყენება.

ატამს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საექსპორტო მნიშვნელობის ხეხილოვან კულტურებს შორის. შეინიშნება ქართველი ფერმერების მზარდი ინტერესი ატმის, განსაკუთრებით კრიალა კანიანი ატმის – ნექტარინის ახალი ბაღების გაშენებისადმი, რაც გემოვნური ღირებულების გარდა მაღალი მარკეტინგული პოტენციალითაც აიხსნება. იმისათვის, რომ აღდგეს საქართველოს ხილის პრესტიჟი და შესაბამისად, ხილის მოვლა-პატრონობა გახდეს შემოსავლიანი, აუცილებელია ხილის მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება თანამედროვე ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ატმის კულტურას დიდ ზიანს აყენებენ ბუგრები (*ყსოდეს პერსიკაე, ყლოპტერუს პრუნი*), რომლებიც სახლდებიან ატმის ფოთლის ქვედა მხარეზე, ფოთლის ყუნწზე, მწვანე ყლორტებზე და სითხის წუწნით აზიანებენ მათ. მასობრივი გავრცელებისას და დაზიანების შედეგად ფოთლები ხუჭუჭდება, განიცდიან დეფორმაციას და ნაადრევად ცვივა. წელიწადის განმავლობაში მავნებელი იძლევა 10-12 თაობას. ბუგრები გამოყოფენ თხიერ, მოტკბო ექსკრემენტებს, რითაც იფარება ფოთლები, ნაყოფი და ტოტები. დაზიანების ადგილზე სახლდება სიმაჟის გამომწვევი სოკო კანდიდიუმი, რის გამოც მცირდება ატმის კულტურის ხარისხობრივი მაჩვენებლები [1].

გამკაცრებული ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შემუშავდა მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგო, მცირე ეკოლოგიური დატვირთვის, პირეტროიდული პრეპარატი, პირობითი სახელწოდებით “ანტიპესტი”. პრეპარატი მზადდება მცენარეული ანარჩინებიდან (ფიჭვის ფისიდან) მიღებული ბუნებრივი ნაერთის, ტერპენტინების ზეთის გამოყენებით, რომლის სინთეზურ პირეტროიდთან კომპოზიციის შემთხვევაში ადგილი აქვს სინერგიზმს (ტერპენტინები განსაზღვრავენ სინთეზური პირეტროიდის გაძლიერებულ მოქმედებას). ამ შემთხვევაში ტერპენტინების ზეთის შემცველი კომპოზიციური პრეპარატიდან მომზადებულ სამუშაო ხსნარებში ძირითადი მოქმედი ნივთიერების – პირეტროიდის დაბალი კონცენტრაცია, საკმარისია მავნებლის განვითარების ციკლის ხანგრძლივობის მთელი პერიოდისთვის. ვაზისმავნებლების (აბლაბუდიანი ტკიპა, ფქვილისებრი და იმერული ბალიშა ცრუფარიანები) წინააღმდეგ “ანტიპესტი”-ს და იმპორტული პირეტროიდული პრეპარატ “არივო”-ს შედარებითი სავსე გამოცდის შედეგების მიხედვით, მიუხედავად “ანტიპესტში” პირეტროიდის (ციპერმეტრინის) 30-40%-ით ნაკლები შემცველობისა ვიდრე “არივო”-ში, მათი ეფექტურობა თითქმის ერთ დონეზეა [2,3].

შემუშავებული ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი “ანტიპესტი” გამოიცადა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ატმის მავნებლის ბუგრების წინააღმდეგ. გამოცდა ჩატარდა, როგორც ლაბორატორიულ, ისე სავსე პირობებში გორის რაიონის სოფ. სკრაში საცდელ ნაკვეთზე. ლაბორატორიულ პირობებში პრეპარატ “ანტიპესტი”-ს ეფექტურობა გამოიცდებოდა დაზიანებულ ატმის ყლორტებზე არსებული ატმის მწვანე ბუგრების სიკვდილიანობის პროცენტის დადგენით მათი სხვადასხვა კონცენტრაციის სამუშაო ხსნარით დამუშავების შემდეგ. ბუგრების სიკვდილიანობის პროცენტის დადგენა ხდებოდა ფორმულით:

$$K = \frac{(a - b) \cdot 100}{a}$$

სადაც a – დამუშავების შედეგად დაზოცილი ბუგრების რაოდენობა; b – დამუშავების შემდეგ ცოცხლად დარჩენილი ბუგრების რაოდენობა. აღრიცხვების შედეგები მოტანილია ცხრილში 1.

**ცხრილი 1.** ლაბორატორიულ პირობებში ატმის მწვანე ბუგრის წინააღმდეგ პრეპარატ “ანტიპესტი“-ს სხვადასხვა კონცენტრაციის სამუშაო ხსნარის გამოცდის შედეგები

“ანტიპესტი“-ს სამუშაო ხსნარებში ციპერმეტრინის შემცველობა, %	ერთ ფოთოლზე ბუგრების სამუშაო რაოდენობა			ბუგრების სიკვდილიანობა, % -ში
	ცოცხალი	მკვდარი	სულ	
0.0006	40	59	99	59.5
0.0012	25	53	78	67.9
0.0025	8	56	64	87.5
0.005	3	94	97	96.9
0,01	0	88	88	100
კონტროლი: შეუსხურებელი ატმის ყლორტები				1-2

საკონტროლოდ აღებული იყო შეუსხურებელი ატმის ყლორტები, რომელზეც მწვანე ბუგრების ბუნებრივი სიკვდილიანობა 1-2 %-ის ტოლია.

ლაბორატორიულ პირობებში დადგენილი “ანტიპესტი“-ს სამუშაო ხსნარის ეფექტური 0,01%-ანი კონცენტრაცია გამოყენებული იქნა ბუგრების წინააღმდეგ საველე პირობებში სოფ. სკრაში, ატმის სხვადასხვა ჯიშებზე: “კრიშაკი” - (თეთრი სახრაი), „ელბერტა“ – (ყვითელი საპობი), „სტარტრედ გოლდი“ – (ნექტარინი). ეტალონად აღებული გვქონდა წარმოებაში გამოყენებული გერმანული ფირმა „ბაიერი“-ს წარმოების ინსექტიციდური პრეპარატი - კონფიდორი და შვეიცარიული ფირმა “სენგენტა“-ს წარმოების ინსექტიციდური პრეპარატი - აქტარა. საკონტროლოდ მიღებული იყო შეუსხურებელი ატმის ხეები. გამოყენებული პრეპარატების ეფექტურობის დასადგენად ბუგრების სიკვდილიანობის აღრიცხვა ჩატარდა შესხურებიდან 2, 5, 8 და 14 დღის შემდეგ. აღრიცხვები ტარდებოდა ხის ოთხივე მხრიდან 10-10 ფოთოლზე ცოცხალი ბუგრების დათვლით. მიღებული შედეგები მოტანილია ცხრილში 2.

**ცხრილი 2.** ბუნებრივ პირობებში ატმის მწვანე ბუგრის წინააღმდეგ პრეპარატების ანტიპესტის, კონფიდორის და აქტარას გამოცდის შედეგები სიკვდილიანობის % დღეების მიხედვით

ბუგრების აღრიცხვის დღე	ატმის მწვანე ბუგრის წინააღმდეგ გამოყენებული პრეპარატები											
	საცდელი				ტალონი							
	ანტიპესტი 0,01%				კონფიდორი 0,01%				აქტარა 0,01%			
	A	B	C	D	A	B	C	D	A	B	C	D
II	23	38	61	62.2	26	48	74	64.8	16	37	53	69.8
V	11	50	61	82.2	16	58	74	78.3	7	46	53	86.7
VIII	6	55	61	91.1	10	64	74	86.4	4	49	53	92.4
XIV	4	57	61	93,4	7	67	74	90.5	2	51	53	96,2

შენიშვნა: A - ცოცხალი; B - მკვდარი; C - სულ; D - სიკვდილიანობის %

საკონტროლოდ ხეებზე ბუგრების ბუნებრივი სიკვდილიანობა 3-5%-ის ფარგლებშია. აღრიცხვის პერიოდში თანდათან მატულობდა ბუგრების ფრთიანი ფაზა – იმაგო.

ცხრილის მონაცემებით საცდელი პრეპარატ “ანტიპესტი“-ს ეფექტურობა (მაკნებლის სიკვდილიანობის პროცენტის მიხედვით), ეტალონად აღებულ პრეპარატ „აქტარა“-სთან შედარებით ნაკლებია, სამაგიეროდ ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათოა, ადგილობრივი წარმოებისა და მნიშვნელოვნად (2-2,5-ჯერ) იაფია იმპორტულ პრეპარატებზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ “ანტიპესტი“-ს შემადგენლობაში ტერაპენტინების ზეთის შემცველობა განაპირობებს არა მარტო პირეტროიდის პროლონგირებულ მოქმედებას, არამედ უზრუნველყოფს მცენარეზე პრეპარატის კარგ დაკავებას და შესაბამისად, მაკნებლის მიმართ ეფექტურობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას.

სურსათის უვნებლობის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ატმის ნაყოფში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის შემცველობა. საკონტროლო ნაკვეთიდან ანალიზისათვის

შეირჩა სამი ჯიშის ატმის ნაყოფი - „კრიმჩაკი“, „ელბერტა“ და „სტარტ რედ გოლდი“, რომლებიც დამუშავებული იყო „ანტიპესტი“. შერჩეულ ნიმუშებში განისაზღვრა პრეპარატ „ანტიპესტი“-ს ძირითადი მოქმედი ნივთიერების – ციპერმეტრინის ნარჩენი რაოდენობა. სხვადასხვა ჯიშის ატმის საანალიზო ნიმუშებში ციპერმეტრინის რაოდენობრივი შემცველობა განისაზღვრა Varian-ის ფირმის, CP-3800 მოდელის, გაზურ ქრომატოგრაფზე, ელექტრონული ჩაჭერის დეტექტორით (ECO). გამოყენებული იყო სვეტი CP Sil 19 CB ზომით 25 მ × 0.25 მმ. ჩატარებული ანალიზის შედეგები ატმის ჯიშებში ციპერმეტრინის შემცველობის მიხედვით მოტანილია ცხრილში 3.

**ცხრილი 3.** სხვადასხვა ჯიშის ატმის ნაყოფში ციპერმეტრინის ნარჩენი რაოდენობა

№	ატმის ჯიშში	ციპერმეტრინის შემცველობა, მგ/კგ	გამოცდის მეთოდი
1	კრიმჩაკი	0,006	მ.მ. 268-1,3-5000
2	ელბერტა (ყვითელი საპობი)	0,019	მ.მ. 268-1,3-5000
3	სტარტ რედ გოლდი (ნექტარინი)	0,012	მ.მ. 268-1,3-5000

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სურსათის უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციის (EU MRLs) მოთხოვნით ატმებში და ნექტარინებში ციპერმეტრინის დასაშვები ნორმაა 2,0 მგ/კგ, ატმის ნიმუშების ანალიზის მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, პრეპარატ ანტიპესტის გამოყენება ატმის მანებლებისაგან დასაცავად, აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანისა და გარემოსათვის.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ირ.ბათიაშვილი, გ.დეკანოძე. ენტომოლოგია, სპეციალური ნაწილი. გამომცემლობა „განათლება“ თბილისი, 1974.
2. თარალაშვილი ლ., ლომთაძე ო., ცხვედაძე ლ. ვაზის აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ მოდიფიცირებული ინსექტო-აკარიციდის „ანტიპესტი“-ს გამოცდის შედეგები 2009-2010 წლებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, №28, გვ. 95-99.
3. შალამბერიძე ნ., ცხვედაძე ლ., დოლიძე ა. მოდიფიცირებული პრეპარატ „ანტიპესტი“-ს გამოცდა ვაზის იმერულა ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2011, №29, გვ. 97-100.

#### NEW INSECTOACARICIDAL DRUG AGAINST APHIDS OF PEACH

Omar Lomtadze, LudmilaTskhvedadze\*, David Kakashvili\*, Nino Lomtadze

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Tbilisi State University*

*\*Institute of Horticulture, Viticulture and Oenology of Georgian Agrarian University*

#### SUMMARY

The article gives the results of study of the effectiveness of a new insecticide - acaricide drug "Antipest" against aphids (*Mysodespersicae*, *Hyalopteruspruni*) on peach. Under laboratory conditions (spraying young shoots peach aphids are infected) establish the optimum concentration (% by pest mortality), which used for planting peach on the experimental plot. "Antipest" efficiency is at the level approved insecticide - acaricides "konfidor" and "Akhtar". According to the content of residual amounts of pyrethroid - cypermethrin, processed fruits peaches "Antipnstom" absolutely safe.

#### НОВЫЙ ИНСЕКТО-АКАРИЦИДНЫЙ ПРЕПАРАТ ПРОТИВ ТЛЕЙ ПЕРСИКА

О.Г.Ломтадзе, Л.П.Цхведадзе\*, Д.М.Какашвили\*, Н.О.Ломтадзе

*Тбилисский Государственный университет им. И. Джавахишвили, Институт физической и органической химии им. П. Меликишвили*

*\*Грузинский аграрный университет, институт садоводства, виноградарства и виноделия*

#### РЕЗЮМЕ

Приведены результаты изучения эффективности нового инсекто-акарицидного препарата «Антипест» против тлей (*Mysodes persicae*, *Hyalopteruspruni*), распространенных на персике. В лабораторных условиях, опрыскиванием зараженных тлями молодых побегов персика, установлена оптимальная концентрация (по % смертности вредителя), которая применена на персиковых насаждениях опытного участка. «Антипест» находится на уровне апробированных инсекто-акарицидных препаратов «Конфидор» и «Актара». По содержанию остаточного количества пиретроида-циперметрина, плоды персиков, обработанных «Антипнстом», абсолютно безопасны.

## აბრარული ქიმიის

## ღვინო საფერავიდან ზოგიერთი ფლავონოიდის გამოყოფა და იდენტიფიკაცია

თეიმურაზ მითაიშვილი, ნათელა ზამბახიძე, ირაიდა თარგამაძე, დალი ჭრიკიშვილი, არმავ შალაშვილი

## საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი

ღვინო საფერავიდან გამოყოფილია ფენოლური ნაერთების ჯამური ფრაქციები - კატექინები, ფლავონოლები, ანტოციანინები და ფენოლური მჟავები, რომლებიც შემდეგ დაიყო ქვეფრაქციებად ქრომატოგრაფიებით სეფადექს LH-20 და პოლიამიდის სვეტებზე. ქვეფრაქციებიდან ინდივიდუალური ნაერთები გამოიყო ქაღალდის და თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის საშუალებით. ღვინო საფერავში იდენტიფიცირებულია ფლავონოლები: კვერცეტინი, კვერცეტინ-3-O-მონოგლუკოზიდი (იზოკვერცეტინი) და კვერცეტინ-3-O-რუტინოზიდი (რუტინი); ანტოციანინები: მალვიდინ-3-O-მონოგლუკოზიდი (ოენინი) და პეონოიდინ-3-O-მონოგლუკოზიდი (პეონინი).

ფლავონოიდები მცენარეების მეორადი მეტაბოლიტების მნიშვნელოვანი ჯგუფია, რომელთა უმეტესობა ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს მიეკუთვნება. ისინი ავლენენ ანტიკანცეროგენულ, ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიულ, ანტიოქსიდანტურ, ანტივირუსულ და ანტიმიკრობულ თვისებებს [1-5]. ფლავონოიდებით მდიდარია მრავალი ხილი, ბოსტნეული, შოკოლადი, მწვანე ჩაი და სხვა. ფლავონოიდების მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს აგრეთვე თეთრი და განსაკუთრებით წითელი ღვინო. ისინი განაპირობებენ თეთრი და წითელი ღვინის ძლიერ ანტიოქსიდანტურ თვისებებს [6]. ათეროსკლეროზის განვითარების ძირითად მიზეზს სისხლში დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაჟანგვა წარმოადგენს. ღვინის ფლავონოიდები, რომლებიც იცავენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებს ჟანგვითი გარდაქმნებისაგან, არსებითად ამცირებენ გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს [7]. ადამიანის სისხლის პლაზმის აქტიურობა და დამჟანგველების მიმართ ლიპოპროტეინების მდგრადობა მნიშვნელოვნად იზრდება წითელი ღვინის მიღების შემდეგ, რაც ადასტურებს საჭმლის მომწელებელი სისტემის მიერ პოლიფენოლების ეფექტურ შეთვისებას. წითელი ყურძნის წვენი მსგავს ძლიერ ზემოქმედებას არ ავლენს, რის გამოც ვარაუდობენ, რომ წითელი ყურძნის წვენის პოლიფენოლები ნაკლებად შეითვისება ადამიანის ორგანიზმის მიერ, ვიდრე წითელი ღვინის პოლიფენოლები [8].

ღვინოში ფენოლური ნაერთები ძირითადად ფლავონოიდების სახითაა წარმოდგენილი, რომლის შემადგენლობაში შედიან კატექინები, ფლავონოლები, ლეიკოანთოციანინები და ანთოციანინები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადადის ფენოლური ნაერთები ყურძნის წვენიდან ღვინოში კახური ტექნოლოგიით ღვინის დამზადებისას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს შეადგენდა კახური წესით ქვევრში დაყენებული წითელი ღვინო საფერავიდან ფლავონოიდების გამოყოფა და იდენტიფიკაცია.

საფერავის ყურძნიდან კახური ტიპის წითელი ღვინო დამზადდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში არსებულ მარანში 2010 წელს. ყურძენი საჭყლეტ მანქანაში გატარების შემდეგ მოთავსდა ქვევრში დასადულებლად. მაცერაცია და დუღილის პროცესი მიმდინარეობდა ღია ქუდის პირობებში, დღეში რამდენჯერმე დარევით 9 დღის განმავლობაში, რის შემდეგ ღვინო მოთავსდა მინის ჭურჭელში წყნარი დუღილის დასრულებამდე [9]. ღვინიდან ფლავონოიდების ჯამური ფრაქციების გამოსაყოფად გამოყენებული იყო სითხე/სითხე ექსტრაქციის მეთოდი [10]. ღვინო დეალკოპოლიზაციის მიზნით დაკონცენტრირდა როტაციულ ამორთქლებელში ( $40^{\circ}\text{C}$ ), რის შემდეგ საანალიზო ნიმუში შეიქმავდა კონც. მარილმჟავით pH-2-მდე და ხსნარი ამოიწვლილა ეთილაცეტატით. წყლიანი ფაზა შეიცავდა ძირითადად ანთოციანინებს (ფრაქცია  $X_1$ ), ორგანული ფაზა - კატექინებს, ფენოლურ მჟავებს და ფლავონოლებს. ორგანული ფაზა დაკონცენტრირდა ვაკუუმში ეთილაცეტატის სრულ მოცილებამდე, რის შემდეგ ნარჩენი განზავდა დისტილირებული წყლით. ხსნარს დაემატა კონც. NaOH წყალხსნარი pH-7-მდე და ექსტრაჰირდა ეთილაცეტატით. ექსტრაქტი დაკონცენტრირდა ვაკუუმში მშრალ ნაშთამდე, რის შემდეგ ნაშთი გაიხსნა მეთანოლში (ფრაქცია  $X_2$ ; ფლავონოლები და ფლავონოლები). წყალხსნარი შეიქმავდა კონც. HCL-ით pH-2-მდე და ეთილაცეტატით ექსტრაჰირების შემდეგ ორგანული ფაზა დაკონცენტრირდა მშრალ ნაშთამდე. ნაშთი გაიხსნა მეთანოლში (ფრაქცია  $X_3$ ; ფლავონოლები და ფენოლური მჟავები).

ფრაქცია X<sub>3</sub> შემაჯავლი ნაერთები დაიყო სეფადექს LH-20-ის სვეტზე (58×3.3სმ). სვეტიდან ნივთიერებები ელუირდნენ დასაწყისში დისტილირებული წყლით, შემდეგ ეთანოლის მზარდი კონცენტრაციის ხსნარებით (20; 40; 60; 80; 90 და 96%-იანი ეთანოლით). ელუატები შესწავლილი იყო ქალაღდის ქრომატოგრაფიით (FN-6; გამხსნელთა სისტემა - ბუთანოლი:მმარმჟავა:წყალი, 4:1:2) და თვისებითი ფერადი რეაქციებით ალუმინის ქლორიდის 5%-იან სპირტხსნართან, ვანილინის 1%-იან ხსნართან კონც. მარილმჟავაში და ნატრიუმის ტუტის კონც. ხსნართან, აგრეთვე ულტრაიისფერი სპექტროსკოპიით (Spekord UV VIS, Germany) დიაგნოსტიკური რეაგენტების (AlCl<sub>3</sub>, CH<sub>3</sub>COONa) გამოყენებით. ქრომატოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით მსგავსი ელუატები გაერთიანდა და დაკონცენტრირდა მშრალ ნაშთამდე.

სეფადექს LH-20-იდან ელუირებული ფრაქციებიდან ქალაღდის ქრომატოგრაფიით (ვატმანი N3; ბუთანოლი:მმარმჟავა:წყალი, 4:1:2) გამოყოფილი იყო ინდივიდუალური სახით სამი (A, B და C) ნივთიერება. სამივე ნივთიერება დაჰიდროლიზდა 2N HCl-ით მდულარე წყლის აბაზანაზე 30 წუთის განმავლობაში. ხსნაღდის გაზრდის მიზნით ემატებოდა მცირე რაღდენობით მეთანოლი. დიეთილის ეთერით ჰიდროლიზატების ამოწვლიღდვის შემდეგ ორგანული ფაზა და წყალხსნარი შესწავლილი იყო ქრომატოგრაფიული და სპექტროსკოპული მეთოღდებით.

A ნივთიერების უ.ი. სპექტროსკოპიით (დიაგნოსტიკურ რეაგენტებთან ერთად) შესწავლის შეღდგები ჰიდროლიზამდე და ჰიდროლიზის შემდეგ მოცემულია ცხრიღდში 1.

ცხრიღდ 1. A ნივთიერების სპექტროსკოპიით შესწავლის შეღდგები

A ნივთიერება ჰიდროლიზამდე		
	λ max., nm	
ნიმუში	257	366
ნიმუში +AlCl <sub>3</sub>	264	408
ნიმუში +AlCl <sub>3</sub> +HCl	263	366
CH <sub>3</sub> COONa	260	364
A ნივთიერება ჰიდროლიზის შემდეგ		
ნიმუში	257	366
ნიმუში +AlCl <sub>3</sub>	264	408
ნიმუში +AlCl <sub>3</sub> +HCl	261	366
CH <sub>3</sub> COONa	260	366

როგორც ცხრიღდიდან ჩანს, A ნივთიერების შთანთქმის სპექტრი ჰიდროლიზამდე და ჰიდროლიზის შემდეგ პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამასთანავე, ჰიდროლიზატის წყალხსნარში შაქარი არ აღმოჩნდა. ამგვარად, ნათელია, რომ ნივთიერება 2N HCl-ის ზემოქმედებით არ გარდაიქმნა და მამასაღამე, იგი გლიკოზიდს არ წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში ხსნარში კომპლექსწარმომქმნელის (AlCl<sub>3</sub>) დამატებისას აღიღი აქვს შთანთქმის მაქსიმუმების ბატოქრომულ გადაადგიღდებას 257 ნმ-დან 264 ნმ-მდე და 366-დან 408 ნმ-მდე. გრძელტაღდიან უბანში ბატოქრომული გადაადგიღდება 366-დან 408 ნმ-მდე ადასტურებს ფლავონოიღდის B-ბირთვში ორთო-დიჰიდროქსიჯგუფის არსებობას და ხელატური კომპლექსის წარმოქმნას ალუმინის ქლორიღდთან. ხსნარში მარილმჟავას დამატებით კომპლექსი იშლება, რის გამოც გრძელტაღდიან უბანში შთანთქმის მაქსიმუმი 408 ნმ-დან ბრუნდება საწყის მღდგომარეობაში (366 ნმ). ნატრიუმის აცეტატის გავლენით იონიზაციას განიღდდის მე-7 მღდგომარეობაში არსებული თავისუფალი ჰიდროქსიღდის ჯგუფი, რაც აისახება სპექტრის მოკლელტაღდიან უბანში შესაბამისი ცვლიღდებით. ქალაღდზე და თხელ ფენაზე ქრომატოგრაფირებისას სხვადასხვა გამხსნელთა სისტემებში ნივთიერების Rf იღდენტურია ავთენტიკური კვერცეტინის Rf-ის. ამგვარად, სპექტროსკოპული, ქრომატოგრაფიული, მჟაური ჰიდროლიზის და თვისებითი ფერადი რეაქციის შეღდგები ადასტურებენ, რომ საკვლევი ნივთიერება კვერცეტინია.

B ნივთიერების სპექტროსკოპიით შესწავლის შეღდგები მოცემულია მე-2 ცხრიღდში..



## ცხრილი 2. B ნივთიერების სპექტროსკოპიით შესწავლის შედეგები

B ნივთიერება ჰიდროლიზამდე		
	$\lambda_{max}$ ; nm	
ნიმუში	263	370
ნიმუში +AlCl <sub>3</sub>	267	408
ნიმუში +AlCl <sub>3</sub> +HCl	268	370
CH <sub>3</sub> COONa	266	370
B ნივთიერება ჰიდროლიზის შემდეგ		
ნიმუში	263	382
ნიმუში +AlCl <sub>3</sub>	270	437
ნიმუში +AlCl <sub>3</sub> +HCl	268	382
CH <sub>3</sub> COONa	271	370

ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჰიდროლიზამდე და ჰიდროლიზის შემდეგ ნივთიერების სპექტრი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჰიდროლიზამდე B ნივთიერების შთანთქმის მაქსიმუმი გრძელტალღიან უბანში 370 ნმ-ია, ჰიდროლიზის შემდეგ - 382 ნმ. კომპლექსწარმოქმნელის (AlCl<sub>3</sub>) დამატებისას შთანთქმის მაქსიმუმი ჰიდროლიზამდე 408 ნმ-ია, ჰიდროლიზის შემდეგ - 437 ნმ-ია. სარეაქციო არეში HCl-ის დამატებისას ორივე შემთხვევაში ხელატური კომპლექსი იშლება, რის გამოც სპექტრის გრძელტალღიან უბანში შთანთქმის მაქსიმუმები ბრუნდება საწყის მდგომარეობაში შესაბამისად 408-დან 370 ნმ-მდე და 437-დან 382 ნმ-მდე. სპექტრის მოკლელტალღიან უბანში ნატრიუმის აცეტატის მოქმედებით გამოწვეული ცვლილება გვიჩვენებს, რომ ფლავონოიდის მე-7 მდგომარეობაში ჰიდროქსილის ჯგუფი თავისუფალია და რეაგენტის მოქმედებით იონიზაციას განიცდის. საკვლევი ფლავონოიდის მე-3 ნახშირბადთან თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობის გასარკვევად ჩატარდა ცირკონილ - ლიმონმჟავას სინჯი [11]. საანალიზო ნივთიერების 1მგ გაიხსნა 10 მლ მეთანოლში, ხსნარს დაემატა 1მლ ცირკონილნიტრატის ZrO(NO<sub>3</sub>)<sub>2</sub> 2%-იანი მეთანოლხსნარი (ხსნარი გაყვითლდა). 1 მლ ლიმონმჟავას 2%-იანი მეთანოლხსნარის დამატებისა და მოცულობის 50 მლ-მდე დისტილირებული წყლით შევსების შემდეგ ხსნარი გაუფერულდა, რაც ადასტურებს, რომ მე-3 ნახშირბადთან ფლავონოლის ჰიდროქსილის ჯგუფი ბლოკირებულია. B ნივთიერების მჟაური ჰიდროლიზის შემდეგ ორგანულ ფაზაში იდენტიფიცირებულია კვერცეტინი (სილუფოლი CTX-1BE; ვატმანი N1; გამხსნელთა სისტემა: ბუთანოლი:ძმარმჟავა:წყალი 4:1:2; გამამჟღავნებელი 5%-იანი AlCl<sub>3</sub>-ის სპირტხსნარი), ხოლო წყალხსნარში შაქრები - გლუკოზა და რამნოზა (ქრომატოგრაფიული ქაღალდი FN-6; გამხსნელთა სისტემა: ბუთანოლ-1 - ეთილაცეტატი - პროპანოლ-2 - ძმარმჟავა - წყალი 35:100:62:35:30; გამამჟღავნებელი - ამონიუმის მოლიბდატი). ამგვარად, მიღებული მონაცემების თანახმად ღვინო საფერავიდან გამოყოფილი ნივთიერება B - რუტინია (კვერცეტინ-3-O-რუტინოზიდი).

A და B ნივთიერებების მსგავსად, C ნივთიერებასაც ფლავონოიდებისათვის დამახასიათებელი შთანთქმის მაქსიმუმები (261 და 370 ნმ) გააჩნია. დიავნოსტიკური რეაგენტების გამოყენების შედეგად სპექტრში შემდეგი ცვლილებები გამოვლინდა: ხსნარში AlCl<sub>3</sub>-ის დამატებისას ადგილი აქვს ბათოქრომულ გადაადგილებას 370ნმ-დან 412 ნმ-მდე. მარილმჟავას დამატების შემდეგ ხელატური კომპლექსი დაიშალა და შთანთქმის მაქსიმუმი 412 ნმ-დან დაბრუნდა საწყის მდგომარეობაში (370 ნმ). ნატრიუმის აცეტატის მოქმედებით სპექტრის მოკლელტალღიან უბანში მაქსიმუმი ინაცვლებს 261-დან 277-ნმ-მდე, რაც ადასტურებს, რომ ფლავონოიდის მე-7 ნახშირბადთან ჰიდროქსილის ჯგუფი თავისუფალია. ფლავონოიდის მე-3 ნახშირბადთან თავისუფალი ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობის გასარკვევად აღწერილის ანალოგიურად ჩატარდა ცირკონილ-ლიმონმჟავას სინჯი. მიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფლავონოიდის მე-3 მდგომარეობაში ჰიდროქსილის ჯგუფი ბლოკირებულია. ნივთიერების მჟაური ჰიდროლიზის ანალიზით დადგინდა, რომ ორგანული ფაზა შეიცავს კვერცეტინს, ხოლო წყლიანი ფაზა - გლუკოზას. ამგვარად, საფერავიდან გამოყოფილი C ნივთიერება იზოკვერციტრინია (კვერცეტინ-3-O-მონოგლუკოზიდი).

წყლიანი ფაზა (ფრაქცია X<sub>1</sub>) დაკონცენტრირდა ვაკუუმში და დაიყო ცალკეულ ფრაქციებად შემჟავებულ წყალში სუსპენდირებულ პოლიამიდიან ქრომატოგრაფიულ სვეტში (85×6.5სმ). სვეტიდან ანთოცინინები ელუირდა შემჟავებული ეთანოლის (0.01%-HCl წყლიან ეთანოლში) მზარდი



კონცენტრაციებით (10-20-30-40%). ელუატების თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით (სილიკაგელი CTX-1BE; გამსხნელთა სისტემა: ეთილაცეტატი-ჭიანჭველმჟავა-წყალი 14:3:3) შესწავლის შედეგად ისინი გაერთიანდა ორ ფრაქციად, საიდანაც გამოიყო ორი (D და E) ნივთიერება. D ნივთიერება (მოყავისფრო-ვარდისფერი) გადაკრისტალდა დიეთილის ეთერით, რომლის Rf×100 ზემოთ აღნიშნულ გამსხნელთა სისტემაში უდრის 83, E ნივთიერების (მოწითალო-იისფერი) Rf×100 – 75. ორივე ნივთიერება დაჰიდროლიზდა 4N მარილმჟავით მდუღარე წყლის აბაზანაზე 30 წუთის განმავლობაში. ჰიდროლიზატიდან აგლიკონები ექსტრაჰირდა ბუთანოლით. წყლიანი და ორგანული ფაზა შესწავლილი იყო თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით ავთენტიკური მალვიდინის და გლუკოზის გამოყენებით. აგლიკონის და შაქრის Rf×100, ორივე ჰიდროლიზატის შემთხვევაში, დაეთხვა ავთენტიკური ნიმუშების Rf×100-ს. ხილულ უბანში D ნივთიერების და მისი აგლიკონის შთანქმის მაქსიმუმები შესაბამისად 528 და 535ნმ-ია, ხოლო E ნივთიერების და მისი აგლიკონის შთანქმის მაქსიმუმები – 532 და 545 ნმ-ია. ორივე ნივთიერების შთანქმის მაქსიმუმები იდენტურია ავთენტიკური პეონიდინის და მალვიდინის შთანქმის მაქსიმუმების [12]. ნიმუშებზე კომპლექსწარმოქმნელი რეაგენტის (5%-ანი AlCl<sub>3</sub> ხსნარი 0.1%- HCl-იან მეთანოლში) დამატება შთანქმის მაქსიმუმის ბატოქრომულ გადაადგილებას არ იწვევს, რაც B ბირთვში თავისუფალი ორთო-დიჰიდროქსიჯგუფების არსებობას გამორიცხავს. არ ფიქსირდება აგრეთვე აცილირებული გლიკოზიდებისათვის დამახასიათებელი დამატებითი პიკი 329-330ნმ-ზე [13]. ორივე ნივთიერების ჰიდროლიზატების წყალხსნარებში იდენტიფიცირებულია გლუკოზა. განხილული მონაცემების თანახმად D ნივთიერება პეონიდინ-3-O-მონოგლუკოზიდია (პეონინი), ხოლო E - მალვიდინ-3-O-მონოგლუკოზიდი (ოენინი).

ამგვარად, კახური წესით ქვევრში დაყენებული ღვინო საფერავიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ფლავონოლები: კვერცეტინი, კვერცეტინ-3-O-მონოგლუკოზიდი (იზოკვერცეტინი) და კვერცეტინ-3-O-რუტინოზიდი (რუტინი); ანთოცანინები: პეონიდინ-3-O-გლუკოზიდი (პეონინი), და მალვიდინ-3-O-გლუკოზიდი (ოენინი).

#### ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. Bayard V., Chammoro F., Motta J., Hollenberg N.K. Does flavonol intake influence mortality from nitric oxide-dependent process. Ischemic disease, stroke, diabetes mellitus, and cancer in Panama. International Journal of Medical Sciences, 2007, v.4, No 1, p. 53-58
2. Mak P., Leung Y. K., Tang W. Y., Harwood C., Ho S. M. Apigenin suppresses cancer cell growth through ERβ. Neoplasia, 2006, v. 8, No 11, p.896-904
3. Miesan K.H., Mohamed S. Flavonoid ( Miricetin, Quercetin, Kaempferol, Luteolin and Apigenin) Content of Edible Tropical Plants. Journal of Agricultural and Food Chemistry, 2006, v. 49, p. 3016-3112),
4. Furusawa M., Tanaka T., Ito T., Nishikawa A., Yamazaki N., Naakaya K., et al. Antioxidant activity of hydroxyflavonoids. Journal of Health Sciences, 2005, v. 51, No 3, p. 376-378;
5. Proestis C., Boziaris I. S., Nychas G.-J. E., Komaitis M. Analysis of flavonoids and phenolic acids in Greek aromatic plants: Investigation of their antioxidant capacity and antimicrobial activity. Food Chemistry, 2006, v. 95, p. 664-671
6. Hua Li, Xiaoyu Wang, Yong Li, Pielong Li, Hua Wang. Polyphenolic compounds and antioxidant properties of selected China wines. Food Chemistry 2009, v. 112, p. 454-460
7. Edwin N. Frankel, Andrew L. Waterhouse and Pierre L. Tiessedre. Principal Phenolic Phytochemicals in Selected California Wines and Their Antioxidant Activity in Inhibiting Oxidation of Human Low-Density Lipoproteins. J. Agric. Food Chem. 1995, v. 43, p. 890-894
8. Miyagi Y, Miwa K, Inoue H. Inhibition of human low-density lipoprotein oxidation by flavonoids in red wine and grape juice. Am J. Cardiol., 1997, No.12, p.1627-1631.
9. გ. ბერიძე. კახური ღვინის დაყენება. თბილისი, 1957, გვ. 65-66
10. Ioannis G. Roussis, I. Ioannis Lambropoulos and Kalliopi Soulti. Scavenging Capacity of Some Wines and Wine Phenolic Extracts. Food Technol. Biotechnol. 2005, p. 43, No. 4, p. 351-358
11. L. Horhammer und R. Hansel. Über das Komplexbildungsvermögen einiger Oxyflavone und die Konstitution des in Polygonum Hydropiper L. vorkommenden Rhamnazinesters. 1953, No. 8, p. 286
12. Танчев С.С., Антоцианы в плодах и овощах, Москва, 1980, с. 36

13. Дурмишидзе С. В., Софромадзе А. Н. Выделение антоцианов из кожицы ягод винограда. Методы биохимических исследований растений, Тбилиси, 1983, с. 66-79

### ISOLATION AND IDENTIFICATION OF SELECTED FLAVONOIDS FROM THE SAPERAVI WINE

Teimuraz Mitaishvili, Natela Zambakhidze, Iraida Targamadze, Dali Chrikishvili, Armaz Shalashvili  
*Viticulture and Enology Institute, Agricultural University of Georgia*

#### SUMMARY

Summary fractions of phenol compounds – catechines, flavonols, antocyanins and phenolic acids were isolated from Saperavi wine made by Kachketian technology. The isolated summary fractions were divided into sub-fractions by chromatography on Sepadex LH-20 and poliamide columns, where from the individual flavonoids were isolated by paper and thin layer chromatography. The following flavonoids were identified in the Saperavi wine: *quercetin*, *quercetin-3-O-monoglucoside (isoquercitrin)* and *quercetin-3-O-rutinoside (rutin)*; *anthocyanins: malvidin-3-O-monoglucoside (oenin)* and *peonidin-3-O-monoglucoside (peonin)*.

### ВЫДЕЛЕНИЕ И ИДЕНТИФИКАЦИЯ НЕКОТОРЫХ ФЛАВОНОИДОВ ИЗ ВИНА САПЕРАВИ

Теймураз Митаишвили, Натела Забахидзе, Ираида Таргамадзе, Дали Чрикишвили,  
Армаз Шалашвили  
*Институт виноградарства и виноделия аграрного университета Грузии*

#### РЕЗЮМЕ

Из вина Саперави, приготовленного по кахетинской технологии, выделены суммарные фракции фенольных соединений – катехины, флавонолы, антоцианины и фенольные кислоты. Выделенные суммарные фракции разделяли на субфракции хроматографированием на колонках сефадекса LH-20 и полиамида. Из субфракций индивидуальные флавоноиды выделяли методами бумажной и тонкослойной хроматографии. В вине Саперави идентифицированы флавонолы: кверцетин, кверцетин-3-О-моноглюкозид (изокверцитрин) и кверцетин-3-О-рутинозид (рутин); Антоцианины: мальвидин-3-О-моноглюкозид (оенин) и пеонидин -3-О-моноглюкозид (пеонин).

## ХИМИЯ ОКРУЖАЮЩЕЙ СРЕДЫ

## ПРИРОДНАЯ РАДИОАКТИВНОСТЬ НЕКОТОРЫХ РОДНИКОВ В ТБИЛИССКОМ И КАРТЛИЙСКОМ АРТЕЗИАНСКИХ БАССЕЙНАХ

Н.П.Кекелидзе, Т.В.Джахугташвили, Э.В.Тулашвили, М.А.Чхаидзе, Л.А.Мцариашвили,  
З.В.Беришвили, Н.А.Хихадзе  
*Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили*

Проведено исследование содержания радиоактивного газа радона – Rn-222 в воде некоторых родников, расположенных на территории населенных пунктов в Тбилисском (9 родников) и Картлийском (4 родника) артезианских бассейнах. Исследования проводились в период январь-март 2013 г. Для определения содержания радона использовался современный детектор RAD7. Установлено, что на территории Тбилисского артезианского бассейна содержание радона в воде родников находится в пределах от нескольких единиц до 100 Bq/L и более; на территории Картлийского артезианского бассейна диапазон изменений заметно меньше – в пределах от единиц Bq/L до 13 Bq/L, что связывается с различиями почвенно-геологических структур этих регионов. Проведено сравнение с литературными данными.

**Введение**

Одной из наиболее актуальных проблем современной экологии является контроль радиоактивного состояния окружающей среды. В настоящее время ученые пришли к выводу, что основной вклад в облучение населения вносят естественно-природные источники. Их можно разделить на две основные группы: космические лучи и радиоактивные элементы, содержащиеся в земной коре, воздухе, воде, строительных материалах и т.д.

Как было установлено, наиболее распространенными в окружающей среде естественными радионуклидами являются радионуклиды трех семейств, родители которых - Th-232, U-238 и U-235, а также отдельный радионуклид K-40. Период их полураспада порядка времени существования Земли, поэтому они в измеримых количествах всегда обнаруживаются во всех объектах окружающей среды (включая и организм человека). Общее количество основных радионуклидов, входящих в состав указанных семейств, составляет 39 радионуклидов, являющихся т.н., *альфа-, бета- и гамма-излучателями*. Было установлено, что характер и механизм их воздействия на живые организмы существенно отличается друг от друга. Было также показано, что около 50% всей фоновой радиационной дозы связано с облучением радоном.

Радон 222 является одним из трех основных газов, входящих в состав т.н. «земного дыхания», в процессе которого из недр Земли в атмосферу постоянно выделяется аргон, гелий и радон. Однако из всех этих газов только радон является радиоактивным [1].

Радон – химически инертный газ без цвета и запаха, в 7.5 раза тяжелее воздуха, хорошо растворяется в воде. Время его полураспада сравнительно невелико – 3.8 дней и из-за его постоянного выделения в атмосферу его короткоживущие продукты распада – Po-218, Pb-214, Bi-214, Po-214 и сравнительно «долгоживущий» Pb-210 (период полураспада 22.3 г.) – вносят существенный вклад в природную радиоактивность.

Радон попадает в воду из окружающей почвы, а также гранитов, базальтов, песка, с которыми соприкасаются водоносные слои. Концентрация радона в обычно используемой воде мала, но вода из некоторых глубоких колодцев и артезианских скважин может содержать много радона – от 100 pCi/L до 1000000 pCi/L (3.7 – 37000 Bq/L) [2].

Растворенный в воде радон действует двояко. С одной стороны, он вместе с водой попадает в пищеварительную систему, а с другой стороны, люди вдыхают выделяемый водой радон при ее использовании.

Вдыхание радона может вызвать рак легкого. Радон распадается на радиоактивные элементы, которые могут осесть в легких при вдыхании. Поскольку они распадаются и далее, эти частицы излучают импульсы энергии, что может повредить ткань легкого и увеличить вероятность развития рака легкого в течение всей жизни. Питьевая вода, содержащая радон, также представляет риск развития внутренних раковых образований органов, прежде всего рака желудка [3].

Интересно отметить, что опубликован ряд работ о том, что малые дозы ионизирующего излучения оказывают положительный эффект и, более того, необходимы для нормальной

жизнедеятельности всего живого. Одним из основных доводов в пользу такой точки зрения считается тот факт, что вообще все живые организмы сформировались на Земле на фоне природной радиоактивности, которая в тот период существенно превосходила современный уровень, и, может быть, являлась даже необходимым фактором для ее возникновения. В ряде работ указывается, что «малые дозы радиации (различные по величине в зависимости от радио-чувствительности организма) активируют основные жизненные процессы, стимулируют развитие организма, повышают его устойчивость к неблагоприятным условиям окружающей среды» [4].

Таким образом, изучение содержания радона в различных объектах окружающей среды (в первую очередь, в поверхностных водах и почве) и установление влияния на них различных внешних факторов имеет исключительно большое значение для охраны здоровья человека.

Исследования уровня содержания радона в питьевой и поверхностных водах ведутся уже в течение многих десятилетий. Началом планомерного изучения радоновой радиации следует считать 70-е годы 20 столетия, когда на территории Хельсинки были обнаружены скважины с очень высокой концентрацией радона в воде. В дальнейшем, с учетом роста внимания к проблеме радона, особенно растворенного в воде, подобные исследования стали проводиться во многих странах мира. Например, на территории той же Финляндии в 1980-е годы были обнаружены скважины, среднее содержание радона в воде которых составляло 1020 Bq/L, а максимальное значение было 77000 Bq/L [5].

Результаты многочисленных исследований показывают, что содержание радона в воде в различных странах колеблется в больших диапазонах.

В работе [6] приведены результаты измерений содержания радона в образцах воды, отобранных в 15 родниках, расположенных в различных регионах Ливана (Beirut, Mount Lebanon, Beqaa, и др.). Содержание радона в исследованных образцах изменяется в широких пределах – от 0.46 до 49.6 Bq/L.


Результаты проведенных в работе [7] исследований показали, что концентрация активности радона в подземных (родниковых) водах одном из регионов Гарвальских Гималаев (Budhakedar), Индия, изменялась летом в диапазоне 8 - 3047 Bq/L со средним значением 510 Bq/L и зимой в диапазоне 26 - 2311 Bq/L со средним значением 433 Bq/L. Этими же авторами были также проведены исследования родниковых вод в другом регионе Гималаев (Badshahi Thaul Campus, Tehri Garhwal), где средняя концентрация активности радона была минимальна в зимний период – 2.1 Bq/L, а максимальное ее значение было в сезон дождей – 9.2 Bq/L [8]. Заметно меньшие значения концентрации радона в родниковой воде были зарегистрированы вблизи города Токат (район Tasliciftlik), Турция – от 0.13 до 1.2 Bq/L [9]. В более широком диапазоне изменяются значения концентрации радона в родниковой воде в некоторых регионах Ирана (Shandiz, Zoshk и Abrdeh) – от 0.327 до 31.88 Bq/L [10]. Вода из нескольких родников, наряду с другими типами воды, используется в качестве питьевой воды в одном из крупнейших городов Ирана – Мешхеде; результаты исследований показали, что в ней имеет место заметное содержание радона – от 12.62 до 20.65 Bq/L [11]. Родниковая вода также используется в качестве питьевой в городе Рамсаре, Иран, и среднее значение концентрации радона в воде этом регионе составило 25.323 Bq/L [12].

В Грузии проблеме радона не уделялось должного внимания. Практически отсутствовали данные о содержании радона в питьевой (водопроводной) воде. В ряде публикаций авторов работы [13] приводятся данные по содержанию радона в питьевой (в том числе водопроводной) воде в Тбилиси, в зоне Уреки-Шекветили, а также оценены радиологические дозы при приеме питьевой воды. В работе [14] приводятся некоторые результаты исследований содержания радона в природной воде и почве. Отмечается, что были выявлены районы с аномально высокой эксхалацией радона в воде (конкретные значения не приводятся). Приведен диапазон активности в воде (в колодцах, скважинах и родниках) для регионов Вани, Чохатаури, Озургети (16-22 Bq/L), при этом указывается, что содержание радона в воде в регионе Цхалтубо превышает эту величину (к сожалению, авторы не приводят конкретные значения).

Таким образом, систематические исследования состояния распределения радона в водных ресурсах Грузии является актуальной проблемой. В данной работе приводятся некоторые результаты по активности радона в водах родниковых источников в географическом ареале г. Тбилиси.

## 1. Постановка задачи

Как известно, в Восточной Грузии расположено несколько артезианских бассейнов [15], некоторые из которых используются для получения и снабжения населения питьевой водой (в частности, в районе Картлийского бассейна расположен Натахтарский комплекс водоснабжения г. Тбилиси питьевой водой, в котором используются артезианские воды). Эти артезианские бассейны



питают многочисленные родники, расположенные по всей территории региона. Исследование их природной радиоактивной активности представляет несомненный интерес как с научной, так и практической точки зрения. В первую очередь, представляют интерес воды Картлийского и Тбилисского артезианских бассейнов, расположенных севернее и южнее г. Тбилиси (рисунок 1). В этой зоне, например, в пригородных населенных пунктах Цхнети, Коджори, Окрокана, Шиндиси и др., находятся родники, которые часто используются населением в качестве питьевой воды.

Рисунок 1. Картлийский (1) и Тбилисский (2) артезианские бассейны (также показан Марнеули-Гардабанский бассейн – 3)

Целью работы является изучение особенностей распределения содержания радона в зависимости от географических факторов в воде родниковых источников, расположенных в районе Тбилисского и Картлийского артезианских бассейнов. В данной публикации приводятся некоторые начальные результаты проведенных исследований.

## 2. Объекты

Объектами исследования являлись родниковые источники, расположенные на территории населенных пунктов как в Тбилиском (9 родников), так и в Картлийском (4 родника) артезианских бассейнах. Перечень контрольных пунктов и их краткая характеристика приведен в таблице 1.

Таблица 1. Перечень исследованных контрольных пунктов и их краткие характеристики

#	Бассейн	Район, селение	КП	Адрес	Координаты
1	ТАВ	Старый Тбилиси	Т-DzT-SI-1	Сололаки, подъем Маро Макашвили	41°41'18" N, 44°47'24" E
2	"-	Дидгори	Т-D-Окр-1	Окрокана, вблизи ул. Бесики, 6	41°41'20" N, 44°46'35" E
3	"-	"-	Т-D-Окр-2	Окрокана, под мостом	41°41'12" N, 44°45'47" E
4	"-	"-	Т-D-Окр-3	Окрокана, ул. Бесики, 6	41°41'20" N, 44°46'35" E
5	"-	"-	Т-D-Ts-1	Цхнети, около последней автобусной остановки на выезде из поселка	41°40'50" N, 44°41'34" E
6	"-	"-	Т-D-Bt-1	Бетания, вблизи небольшой речки	41°40'05" N, 44°39'03" E
7	"-	"-	Т-D-Kj-1	Коджори, ул. Юнкеров (около интерната)	41°39'41" N, 44°42'12" E
8	"-	"-	Т-D-Tkh-1	Табахмела, жилой дом около трассы в центре поселка	41°39'16" N, 44°44'54" E
9	"-	"-	Т-D-Sh-1	Шиндиси, восточная окраина поселка	41°39'51" N, 44°46'16" E
10	КАВ	Мцхета	К-Mts-1	Ул. Агмашенебели, 124	41°50'33" N, 44°43'01" E
11	"-	Булачаури	К-BI-2	Ресторан «Булачаури»	42°00'34" N, 44°45'30" E
12	"-	"-	К-BI-3	"-	42°00'34" N, 44°45'34" E
13	"-	Бодорна	К-Bd-1	Бодорна, около трассы при въезде в деревню	42°03'19" N, 44°44'38" E

**Примечание. Принятые обозначения:**

1) КП - контрольный пункт;

2) ТАВ – Тбилисский артезианский бассейн;

3) *KAB* – Картлийский артезианский бассейн;

4) особенности родников:

- T-DzT-S1-1: вода подается через три трубы в бетонной стене;
- T-D-Okr-1: вода подается через трубу из расположенного недалеко накопительного колодца;
- T-D-Okr-2: вода подается через трубу;
- T-D-Okr-3: вода подается через трубу (во дворе жилого дома) из накопительного резервуара, расположенного на расстоянии примерно 20 м;
- T-D-Ts-1: вода подается через трубу (в бетонной стене) из накопительного резервуара, расположенного на расстоянии примерно 1 км;
- T-D-Bt-1: вода подается через трубу в бетонной стене резервуара;
- T-D-Kj-1: вода подается через трубу (в бетонной стене);
- T-D-Tkh-1: вода подается через трубу с краном (во дворе жилого дома) из накопительного колодца, расположенного на расстоянии примерно 1 км;
- T-D-Sh-1: вода подается через трубу (закрепленной в бетонной стене резервуара достаточно большого объема – несколько куб. м.) из родника, расположенного на расстоянии примерно 1 км (т.н. «Кодис Цқаро»);
- K-Mts-1: вода подается через трубу (во дворе жилого дома) из накопительного колодца, расположенного на расстоянии примерно 30 м;
- K-B1-2: вода подается через трубу (на берегу р. Арагви, недалеко от моста);
- K-B1-3: вода подается через семь труб в бетонной стене (дренажная система);
- K-Bd-1: вода подается через сливные каналы в бетонном сооружении.

### 3. Методология

Отбор проб родниковой воды осуществлялся в специальные стеклянные контейнеры ёмкостью 250 mL. Контейнеры заполнялись водой доверху, и затем плотно закрывались крышкой. Затем отобранные образцы воды транспортировались в лабораторию для анализа.

Для определения содержания радона в воде использовался детектор RAD7. В приборе RAD7 применяется метод детектирования возникающих при распаде радона и его продуктов распада альфа-частиц, основанный на использовании полупроводникового твердотельного альфа-датчика. Использовался протокол измерения Wat-250.

Полученные результаты измерений, а также данные об условиях эксперимента с помощью программного обеспечения Capture передаются на подключенный к RAD7 компьютер для дальнейшей обработки. Всего передаются 23 параметра эксперимента и результатов измерений.

Погрешность измерения прибора не превышает  $\pm 5\%$ . Прибор позволяет измерять активность радона в воде от 0.1 Bq/L до более чем  $3.7 \cdot 10^3$  Bq/L [16].

Для исследованных пунктов с учетом рекомендуемого Управлением по охране окружающей среды США контрольного уровня 11 Bq/L [17] и полученных результатов были установлены 7 условных групп уровней активности радона в воде, отобранных в различных контрольных пунктах, в частности:

- 1-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона очень низкое – не превышало 0.3 Bq/L (близки к фоновым значениям);
- 2-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно считать низким – в интервале 0.3 – 1.0 Bq/L;
- 3-ья группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно условно обозначить как типичное – в интервале 1.0 – 3.0 Bq/L;
- 4-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно считать выше типичного – в интервале 3.0 – 10.0 Bq/L;;
- 5-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно считать высоким – находится в интервале 10 – 30 Bq/L;
- 6-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно считать очень высоким – в интервале 30 – 100 Bq/L;
- 7-ая группа – контрольные пункты, в которых значение концентрации радона можно считать сверхвысоким – более 100 Bq/L.

#### 4. Результаты


Результаты определения активности (A) радона в образцах воды, отобранных в период январь (Jan), февраль (Feb) и март (March) 2013 г., а также средние значения (*aver*) в некоторых родниках на территории Тбилисского (TAB) и Картлийского (KAB) артезианских бассейнов, приведены в таблице 2. На рисунке 2 приведена гистограмма распределения родниковых источников по группам активности для исследованных бассейнов (для их построения использовались усреднённые значения), а в таблице 3 обобщено количественное распределение родников по группам активности (G).

**Таблица 2.** Концентрация активности радона (A) в образцах родниковой воды

#	Бассейн	КП	A, Bq/L			
			Jan	Feb	March	aver
1	TAB	T-DzT-Sl-1	96.3	111	72.9	93.2
2	"-	T-D-Okr-1	-	13.0	7.9	10.5
3	"-	T-D-Okr-2	-	-	2.7	2.7
4	"-	T-D-Okr-3	-	-	35.8	35.8
5	"-	T-D-Ts-1	-	4.0	4.6	4.3
6	"-	T-D-Bt-1	-	16.7	-	16.7
7	"-	T-D-Kj-1	-	35.1	23.8	29.5
8	"-	T-D-Tkh-1	-	27.4	9.9	18.7
9	"-	T-D-Sh-1	-	9.4	3.3	6.4
10	KAB	K-Mts-1	-	9.4	4.6	7.0
11	"-	K-BI-2	-	-	3.4	3.4
12	"-	K-BI-3	-	-	13.0	13.0
13	"-	K-Bd-1	-	7.5	9.1	8.3

**Таблица 3.** Распределение контрольных пунктов по группам (G) уровней активности радона (A), среднему значению активности радона ( $A_{av}$ ), их количеству ( $N_p$ ) и доле (R, %) (за период январь – март, 2013 г.).

G	Бассейн	A, Bq/L	$A_{av}$ , Bq/L	$N_p$	R, %
3	TAB	1-3	2.7	1	11
4	"-	3-10	5.3	2	22
5	"-	10-30	18.8	4	45
6	"-	30-100	64.5	2	22
4	KAB	3-10	6.2	3	75
5	"-	10-30	13.0	1	25



**Рисунок 2.** Гистограмма распределения родниковых источников по группам активности для Тбилисского (слева) и Картлийского (справа) артезианских бассейнов:

- 3-ья группа – типичные значения ( $A_{av} = 1-3 \text{ Bq/L}$ );
- 4-ая группа – значения выше типичных ( $A_{av} = 3-10 \text{ Bq/L}$ );
- 5-ая группа – высокие значения ( $A_{av} = 10-30 \text{ Bq/L}$ );
- 6-ая группа – очень высокие значения ( $A_{av} = 30-100 \text{ Bq/L}$ ).

## 5. Анализ

Как видно из полученных данных, в географическом ареале г. Тбилиси на территории Тбилисского и Картлийского артезианских бассейнов наблюдается большой диапазон изменений активности радона в родниковой воде.

На территории Тбилисского артезианского бассейна данные находятся в пределах от нескольких единиц Bq/L до 100 Bq/L и более. Наибольшее значение (111 Bq/L) наблюдается для родниковой воды в контрольном пункте T-DzT-SI-1, где источник выхода воды на поверхность находится непосредственно в зоне отбора образца.

На территории Картлийского артезианского бассейна данные находятся в пределах от единиц Bq/L до 13 Bq/L. Наибольшие значения наблюдаются, в основном, для родниковой воды в контрольном пункте K-VI-3, где источник выхода воды на поверхность также находится непосредственно в зоне отбора образца.

Как видно из полученных результатов, диапазон изменений данных для поверхностных вод заметно больше, чем для водопродной воды в г. Тбилиси [13]. При этом значения для Тбилисского артезианского бассейна, в общем, заметно превышают значения для Картлийского артезианского бассейна.

Как было отмечено в методологии, на основе полученных результатов и рекомендуемого Управлением по охране окружающей среды США контрольного уровня 11 Bq/L [17] для качественной (что, в определенной степени отразилось в названии групп) и количественной оценки и классификации было установлено 7 групп контрольных пунктов по диапазону активности радона в воде (практически охватывающий весь интервал наблюдаемых значений концентрации).

Исходя из полученных результатов по величинам концентрации радона в поверхностной воде, большинство исследованных контрольных пунктов находилось в группах выше типичных (3 – 10 Bq/L) или высоких (10 – 30 Bq/L) значений активности радона.

Как видно, полученные результаты в большинстве случаев близки к контрольному уровню активности или превышают (для одного контрольного уровня наблюдается превышение более, чем на порядок).

Наблюдаемые качественные и количественные особенности активности радона в родниковой воде связаны как с различиями в способах обеспечения поступления воды непосредственно в точке отбора образцов (расстояние от места выхода родниковой воды на поверхность, наличие или отсутствие накопительного резервуара и т.д.), так и с их географическим расположением (как известно, зоны Тбилисского и Картлийского артезианских бассейнов заметно отличаются по своей почвенно-геологической структуре).

В таблице 4 проведено сравнение полученных результатов с некоторыми литературными данными. Как видно из данных, полученные результаты по средним (*aver*) значениям концентрации для родниковых источников в Тбилисском артезианском бассейне близки к значениям, полученным в работе [12]. Для родниковых источников в Картлийском артезианском бассейне полученные значения можно считать близкими с данными в работе [8].

Более детальный анализ полученных результатов предполагается провести на дальнейших этапах проведения работы по мере накопления систематических данных.

**Таблица 4.** Концентрация радона (A) в родниковой воде в различных регионах мира

№	Регион, страна,	A, Bq/L			Литература
		aver	min	max	
1	Beirut, Mount Lebanon, Beqaa, и др., Ливан		0.46	49.6	[6]
2	Budhakedar, Гарвальские Гималаи, Индия	510	8	3047	[7]
3	Badshahi Thaul Campus, Tehri Garhwal, Гималаи, Индия		2.1	9.2	[8]
4	Tasliciftlik, Токат, Turkey		0.13	1.2	[9]
5	Shandiz, Zoshk, Abrdeh, Иран		0.327	31.88	[10]
6	Мешхед, Ирана		12.62	20.65	[11]
7	Рамсар, Иран	25.323			[12]
8	Грузия				Данная работа
	• Тбилисский артезианский бассейн	24.2	2.7	93.2	
	• Картлийский артезианский бассейн	7.9	3.4	13.0	



**6. Выводы**

1. Проведены исследования содержания радона в воде родников, расположенных на территории населенных пунктов как в Тбилисском (9 родников), так и в Картлийском (4 родника) артезианских бассейнах.

2. Установлено, что на территории Тбилисского артезианского бассейна содержание радона в воде родников находится в пределах от нескольких единиц Bq/L до 100 Bq/L и более; на территории Картлийского артезианского бассейна диапазон изменений заметно меньше - в пределах от единиц Bq/L до 13 Bq/L.

3. Показано, что по величинам концентрации радона в поверхностной воде, большинство исследованных контрольных пунктов находилось в группах выше типичных (3 – 10 Bq/L) или высоких (10 – 30 Bq/L) значений активности радона.

4. Проведено сравнение с литературными данными.

*Работа выполнена при финансовой поддержке Национального научного фонда им. Шота Руставели и Украинского научно-технологического центра (проект №5644 «Радоновый фон в питьевой и поверхностной воде в ареале столицы Грузии – Тбилиси»).*

**ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES**

1. Уткин В.И. Газовое дыхание Земли. Соросовский образовательный журнал, 1997, №1, с. 57-64.
2. U.S.G.S. Radon-222 in the Ground Water of Chester County, Pennsylvania. By Lisa A. Senior. Water-Resources Investigations Report 98-4169. Lemoynе, Pennsylvania, 1998.
3. EPA. Basic Information about Radon in Drinking Water: <http://water.epa.gov/lawsregs/rulesregs/sdwa/radon/basicinformation.cfm>].
4. Tsetlin V.V., Lebedeva N.E., Levinskikh M.A., Nefedova E.L. Influence of a radioactive background of modern city on its ecological situation. Materials of Int. Youth Scientific Conf. "Mountain areas – ecological problems of cities". Yerevan, 29-30.05.2007, pp. 93-93.
5. L. Salonen. Natural radionuclides in ground water in Finland. Rad. Prot. Dosimetry, Vol. 24, N 1/4, pp. 163-166, 1988.
6. S.M. Abdallah, R.R. Habib, R.Y. Nuwayhid, M. Chatila, G. Katul. Radon measurements in well and spring water in Lebanon. Radiation measurements, vol. 42, no. 2, pp. 298-303, 2007.
7. G. Prasad, Y. Prasad, G.S. Gusain, M. Badoni, J.M.S. Rana, R.C. Ramola. Variation of radon concentrations in soil and groundwater and its correlation with radon exhalation rate from soil in Budhakedar, Garhwal Himalaya. Indian J. Phys. 83 (6), pp. 887-892, 2009.
8. Y. Prasad, G. Prasad, G.S. Gusain, V.M. Choubey, R.C. Ramola. Seasonal variation on radon emission from soil and water. Indian J. Phys. 83 (7), pp. 1001-1010, 2009.
9. I. Yiğitoğlu, F. Öner, H. A. Yalim, A. Akkurt, A. Okur and A. Özkan. Radon concentrations in water in the region of Tokat City in Turkey. Radiation Protection Dosimetry, 142 (2-4), pp. 358-362, 2010.
10. A. Binesh, S. Mohammadi, A.A. Mowlavi and P. Parvaresh. Measuring radon and radium concentrations in 120 samples of drinking water sources, springs and rivers of Shandiz, Zoshk and Abrdeh regions. Environmental Research Journal, 5 (1), pp. 1-5, 2011.
11. A.A. Mowlavi, A. Binesh. Radon concentration measurement in the some water sources of Mashhad Region in Iran. IFMBE Proceedings, Vol. 14/1, pp. 498-499, 2006.
12. A. Binesh, Z. Pourhabib, H. Arabshahi and S. Mohammadi. Determination of Radon and Radium in Springs, Wells, Rivers and Drinking Water Samples of Ramsar in Iran. International Journal of Science and Advanced Technology, Vol. 1, No 4, June 2011.
13. L.Mtsariashvili, N.Khikhadze, N.Kekelidze, T.Jakhutashvili, E.Tulashvili. Radioactivity of tap water of Tbilisi City (Georgia) and estimation of radiological risk for population. Proc. of the 10<sup>th</sup> Int. Multidisciplinary Scientific Geo-Conf. (SGEM 2010) – «Modern Management of Mine Producing, Geology and Environmental Protection», Albena Resort, Varna city, Bulgaria; vol. II, 39, 2010; M. Elizbarashvili, N. Khikhadze, N. Kekelidze, T. Jakhutashvili, E. Tulashvili. Radon content in sea, river, drinking water of resort zone Ureki-Shekviteli in west Georgia and estimation of radon-produced hazard for population. Proc. of the 10<sup>th</sup> Int. Multidisciplinary Scientific Geo-Conf. (SGEM 2010) – «Modern Management of Mine Producing, Geology and Environmental Protection», Albena Resort, Varna city, Bulgaria; vol. II, 47, 2010; L. Mtsariashvili, N. Khikhadze, M. Tsintsadze, N. Kekelidze, T. Jakhutashvili, E. Tulashvili. Natural radio-activity of drinking water in suburbs of Tbilisi. Georgia Chemical Journal; 10 (1), 113, 2010.

14. Amiranashvili A.G., Chelidze T.L., Gvinianidze K.G., Melikadze G.I., Todadze M.Sh., Trekov I.Y., Tsereteli D.G. Radon distribution and prevalence of lung cancer several areas of west Georgia. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology; 115, 349, 2008.
15. საქართველოს სსრ ატლასი. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, 1964 წ.
16. Jakhutashvili T., Tulashvili E., Khikhadze N., Mtsariashvili L. Measurement of radon contents with use of modern mobile alpha-spectrometer RAD-7. Georgia Chemical Journal, Vol. 9, No. 2, pp. 179-182, 2009.
17. Federal Register. July 18, 1991. Part II. Environmental Protection Agency. 40 CFR Parts 141 and 142. National Primary Drinking Water Regulations; Radionuclides; Proposed Rule. (56 FR 33050)..

### თბილისის და ქართლის არტეზიული აუზების ზოგიერთი წყაროების ბუნებრივი რადიოაქტივობა

ნოდარ კეკელიძე, თეიმურაზ ჯახუტაშვილი, ერემია თულაშვილი, მანანა ჩხაიძე, ლელა მწარიაშვილი, ზაურ ბერიშვილი, ნანა ხიხაძე  
*ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

ჩატარებულია რადიოაქტიური აირის რადონის – Rn-222 შემცველობის კვლევა ზოგიერთი წყაროს წყალში, რომლებიც განლაგებულია დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე თბილისის (9 წყარო) და ქართლის (4 წყარო) არტეზიულ აუზებში. კვლევები ჩატარდა 2013 წლის იანვარ-მარტის პერიოდში. კვლევების ჩასატარებლად გამოყენებული იყო თანამედროვე რადონის დეტექტორი RAD7. დადგინდა, რომ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე რადონის შემცველობა წყაროსწყალში არის დიაპაზონში რამოდენიმე Bq/L-დან 100 Bq/L-მდე და მეტი; ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე ცვლილებების დიაპაზონი მნიშვნელოვნად ნაკლებია – რამოდენიმე Bq/L-დან 13 Bq/L-მდე, რაც დაკავშირებულია ამ რეგიონების ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურების სხვაობებთან. ჩატარებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

### NATURAL RADIOACTIVITY OF SOME SPRINGS IN THE TERRITORY OF TBILISI AND KARTLI ARTESIAN BASINS

Nodar Kekelidze, Teimuraz Jakhutashvili, Eremia Tulashvili, Manana Chkhaidze, Lela Mtsariashvili, Zaur Berishvili, Nana Khikhadze  
*Tbilisi State University*

#### SUMMARY

Investigation of content of radioactive gas radon – Rn-222 in water of some springs located in the territory of settlements in Tbilisi (9 springs) and Kartli (4 springs) artesian basins have been carried out. Researches were carried out in the period January-March, 2013. Radon content measurements were carried out with use of modern radon detector RAD7. It was established that in the territory of Tbilisi artesian basin radon content in spring water varied from several units of Bq/L up to 100 Bq/L and more; in the territory of Kartli artesian basin size of changing is much less – in the range from units of Bq/L up to 13 Bq/L, that is attributed to the differences of soil-geological structures of these regions. Comparison with literary data has been carried out.

## ქიმიური ეკოლოგია

რენტგენული სპექტრომეტრის გამოყენება ქიმიური შედგენილობის  
ბანსაზღვრისათვის და ეკოლოგიური ქიმიის ზოგიერთი ასპექტი

ალექსანდრე ჩუბინიძე, ნარიკო ენდელაძე, ნესტან ბრეგაძე

აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტი

რენტგენული სპექტრომეტრის (Skyray EDX Packet III. X-ray Fluorescence Spectrometer) საშუალებით შესრულებულია ქიმიური, ელემენტური ანალიზი კონტაქტური და სისტემური შხამქიმიკატით (კორსუბერი) შეწამლული ნიმუშებისა. ამჯერად ანალიზის ობიექტად შერჩეულია ყურძნის მარცვალი. ანალიზის მონაცემები მიღებულია 28 ქიმიური ელემენტისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება, რომ სისტემური შხამქიმიკატის - კორსუბერის ქიმიური ფრაგმენტები აკუმულირდება მცენარის ნაყოფში.

სამუშაო წარმოადგენს ეკოლოგიური ქიმიის მიმართულებით წამოწყებულ საქმიანობას, რომლის მიზანია შევისწავლოთ ყურძნის ქიმიური (ელემენტური) შედგენილობა მას შემდეგ, რაც შესაბამისი ვაზი შეწამლული იქნება კონტაქტური ან სისტემური შხამქიმიკატით და გაკეთდება სათანადო დასკვნები. კერძოდ, გამოკვლეული იქნება „რჩება“ თუ არა ყურძენში შხამქიმიკატის ქიმიური ფრაგმენტები, განსაკუთრებით სისტემური ფუნგიციდისა, რამდენადაც ამ უკანასკნელის ყველა სახეობა მნიშვნელოვნად ტოქსიკურია, ვიდრე კონტაქტური შხამქიმიკატი; აგრეთვე: ახდენენ თუ არა ქიმიურ ზემოქმედებას შხამქიმიკატები ყურძნის ძვირფასი თვისებების განმაპირობებელ ნივთიერებებზე.

საკითხი მცენარეებზე შხამქიმიკატების ქიმიური ზემოქმედების შესახებ მრავალი (არა ყველა) ფუნგიციდისათვის არის გამოკვლეული. სახელდობრ, ლიტერატურაში [1] მითითებულია სისტემური შხამქიმიკატის მეტაბოლიზმის პროცესი მცენარეებში. რაც შეეხება წინამდებარე სამუშაოს, აქ საანალიზო ნიმუშად შერჩეულია კულტურული ვაზის ჯიშში - ცოლიკოური, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სახეობა, რომელიც აღებულია სოფელ II ობჩაში (ბაღდადის რაიონი) გაშენებული ვენახიდან. ჩვენს მიერ შესწავლილი ლიტერატურული მონაცემები იძლევიან შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ვაზის მითითებული ჯიშის ნაყოფი, რომელიც განსაკუთრებული გამძლეობით გამოირჩევა, არ არის გამოკვლეული ფუნგიციდების ზემოქმედების თვალსაზრისით. მითითებული ობიექტი გამოუკვლეველია აგრეთვე რენტგენული სპექტრომეტრით.

ჩვენს მიერ საკვლევი ნიმუშის მომზადება მოხდა დამწიფებული ყურძნის მარცვლის - ქიშმიშის სახით. დაქიშმიშება მიმდინარეობდა ბუნებრივად, ჰაერზე, რამოდენიმე თვის განმავლობაში. დაქიშმიშებული ყურძნის მარცვალი ქუცმაცდებოდა მექანიკურად და ამგვარი სახით ხდებოდა მისი გამოკვლევა რენტგენულ სპექტრომეტრზე (Skyray EDX Packet III. X-ray Fluorescence Spectrometer).

ცხრილში მოცემულია ქიმიური, ელემენტური ანალიზის შედეგები, მიღებული რენტგენული სპექტრომეტრის საშუალებით 28 ქიმიური ელემენტისათვის. ყურძნის მარცვალი (ქიშმიში) 2 ნიმუშის სახით არის წარმოდგენილი: პირველი ნიმუში, რომელიც შეიწამლებოდა კონტაქტური შხამქიმიკატით – შაბიანით და მეორე ნიმუში, აღებული იგივე ჯიშის ვაზიდან, რომელიც შეიწამლებოდა სისტემური ფუნგიციდით – კორსუბერით. შევნიშნავთ, რომ კორსუბერის, ისევე როგორც ვაზის შესაწამლად გამოყენებული სისტემური შხამქიმიკატების უმრავლესობის ძირითადი მოქმედი ნივთიერებაა ცინები, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კორსუბერის ტოქსიკურობას. ლატერატურაში [2-3] მითითებულია ყურძნის წვენი ქიმიური შედგენილობა და ასევე მარცვლის (ყურძნის მტვენის) ქიმიური ანალიზის შედეგები [4-5]. სამუშაოთა ავტორები არ მიუთითებენ თუ რომელი შხამქიმიკატით იყო შეწამლული ყურძნის შესაბამისი ნიმუშები. ვიდრე გადმოვცემდეთ ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების ლიტერატურულ მასალასთან შედარებით ანალიზს, აღვნიშნავთ, რომ რენტგენული სპექტრომეტრის მითითებული სახეობა, რომელიც გამოყენებულია ჩვენი ექსპერიმენტის პროცესში, ტექნიკურად არ ითვალისწინებს ისეთი არამეტალების განსაზღვრას როგორებიცაა: წყალბადი, ჟანგბადი, ნახშირბადი, აზოტი, ფოსფორი, გოგირდი. მეორე მხრივ, მითითებული ელემენტ-არამეტალების, განსაკუთრებით, წყალბადისა და ჟანგბადის შემცველობა ( $\approx 80$  მასური%) ყურძნის მარცვალში, მაღალია. ამდენად, შედარებითი ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ეს უკანასკნელი ფაქტია.

ვაგრძელებთ რა შედარებით დახასიათებას, შევნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ განსაზღვრული 28 ელემენტიდან უმრავლესობა (20 ქიმიური ელემენტი) აგრეთვე აღმოჩენილია ავტორთა [4-5] მიერ ჩატარებული ყურძნის მარცვლის ქიმიური ანალიზის შედეგად. პირიქით – ჩვენ ნიმუშებში არ აღმოჩნდა სკანდიუმი, ირიდიუმი, თალიუმი, რომლებიც აღწერილია ბოლო დროს გამოქვეყნებულ ლიტერატურაში. ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან როგორც მიუთითებენ ავტორები [5] „ქიმიური ელემენტების შემცველობის მიხედვით ყურძნის ჯიშები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.“ ამასთან, ჩვენი ცხრილის მონაცემების მიხედვით ყურძნის მარცვალში ყველაზე დიდი შემცველობითაა კალიუმი და კალციუმი, რაც აგრეთვე შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს – (6,5 და 2,95% [5]– შესაბამისად). რაც შეეხება ექსპერიმენტული მონაცემების „შიგა“ შედარებას (ცხრილი 1), იგი უჩვენებს, რომ სისტემური შხამქიმიკატი – კორსუბერიტ შეწამლული ყურძნის მარცვალში ძირითადი ელემენტების შემცველობა გაზრდილია (გარდა დარიშხანისა და კალიუმისა) შედარებით ყურძნის მარცვლის იმ ნიმუშთან, რომელიც იწამლებოდა კონტაქტური ფუნგიციდით (დარიშხანთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ვაზი იწამლებოდა აგრეთვე კოლოიდური გოგირდით, რომელიც შეიცავს დარიშხანს.)


**ცხრილი 1.** რენტგენული სპექტრომეტრით ჩატარებული ყურძნის მარცვლის ქიმიური ანალიზის შედეგები და შესაბამისი დიაგრამა

ელემენტები	ყურძენი, შეწამლული კონტაქტური ფუნგიციდით	ყურძენი, შეწამლული სისტემური ფუნგიციდით
Ca%	4,48	18,38
Ti%	1,65	4,53
V%	0,9	1,2
Cr%	1,22	0,13
Mn%	1,49	2,8
Fe%	7,96	13,2
Co%	0,64	-----
Ni%	0,72	2,7
Cu%	2,91	4,26
Zn%	1,38	1,75
Zr%	0,08	1,13
Nb%	0,03	-----
Ag(ppm)	391	377
Cd%	0,3	-----
Sn%	0,24	1,84
Sb%	1,21	1,83
Cs%	----	-----
Pb%	1,54	1,64
Bi%	0,4	1,41
As%	3,74	4,11
K%	63,8	24,64
Mo%	----	-----
Na%	4,98	11,47
Se(ppm)	482	512,5
Rb%	0,1	1,22
Sr%	---	-----
In(ppm)	202	693,78
Hg%	-----	-----

მაშასადამე, როგორც ჩანს, სისტემური შხამქიმიკატი – კორსუბერიტ უფრო უწყობს ხელს ქიმიური ელემენტების „დაკავებას“, ვიდრე კონტაქტური ფუნგიციდი. ვფიქრობთ, რომ ამ პროცესის მასტიმულირებელი უნდა იყოს სისტემური შხამქიმიკატების საერთო თვისება, რომ ისინი შედიან მცენარის წვენში, განსხვავებით კონტაქტური პესტიციდებისაგან.

ლიტერატურული მასალისა და ჩვენს მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სისტემური შხამქიმიკატის - კორსუბერის ქიმიური ფრაგმენტები აკუმულირდება ყურძნის წვეწმში რაც, ცხადია, ამ უკანასკნელს ეკოლოგიურად დააბინძურებს. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით საბოლოოდ ჩამოყალიბებული დასკვნის გაკეთებისათვის საჭიროა ექსპერიმენტული საშუალების შემდგომი გაგრძელება, განსაკუთრებით, არამეტალების შემცველობის განსაზღვრის თვალსაზრისით.

ნახაზში 1 არ არის შეტანილი მონაცემები იმ სამი ელემენტის შესახებ, რომელთა მასური პროცენტები მნიშვნელოვნად მცირე სიდიდით ხასიათდებიან.



ნახ. 1. არამეტალების შემცველობა ფუნგიციდით შეწამულ ყურძენში

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Мельников Н.М., - Пестициды, М., химия, 1997.
2. Chemistry in winemaking D. Robert Sterlok; cross rouds winemaking – 2010.
3. Chemistry of wine flavor – A. L. waterhouse, S.E. Ebeler. ACS symposium, ser; es 714. 2004.
4. თ.კობაიძე, ყურძნის პროდუქტთა მინერალური ნივთიერებანი. “საბჭოთა საქართველო” თბილისი, 1982.
5. ს. ღურმიშიძე, ო. ხაჩიძე, ვაზის ბიოქიმია, “მეცნიერება”, თბილისი. 1995.

#### USE OF X-RAY SPECTROMETER FOR STUDY OF CHEMICAL CONTENTS AND SOME ASPECTS OF ECOLOGICAL CHEMISTRY

Aleksandr Chubinidze, Nariko Endeladze, Nestan Bregadze  
Akaki Tsereteli State University

#### SUMMARY

Using X-ray spectrometer (Skyray EDX Packet III. X-ray Fluorescence Spectrometer), chemical analysis of patterns sprinkled with contact and system (Corsuber) pesticides has been carried out. At that time grain of grapes has been investigated. It is given data about 28 chemical elements. On the base of obtained results, it is, expressed an ipinion, that chemical fragments of system (Corsuber) pesticides is accumulated in the fruit of plant.

#### ПРИМЕНЕНИЕ РЕНТГЕНОВСКОГО СПЕКТРОМЕТРА С ЦЕЛЮ ОПРЕДЕЛЕНИЯ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА И НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ЭКОЛОГИЧЕСКОЙ ХИМИИ

А.Д.Чубинидзе, Н.О.Енделадзе, Н.Л.Брегадзе  
Государственный университет Ак. Церетели

#### РЕЗЮМЕ

С помощью рентгеновского спектрометра (X-ray Fluorescence Spectrometer Skyray EDX Packet III) проведен химический, элементный анализ виноградной лозы, которая подвергалась опрыскиваниям контактными и системными (корсубер) ядохимикатами. Результаты анализа получены по 28 химическим элементам. На основе полученных данных высказана вероятность аккумулялирования химических фрагментов системного ядохимиката корсубера в виноградной лозе.

## ნიადაგიდან ფულვომჟავების გამოყოფის შესაძლებლობები და მათი შემადგომი ბამოყენება


ლელია ტატიაშვილი, ნანა წეროძე, მაია სტეფანიშვილი, რუსუდან ურიდია, ირმა მიქაძე

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი*

ჩატარებულია სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ნიადაგიდან და ტორფიდან ფულვომჟავების გამოყოფის მიზნით. შერჩეულია ოპტიმალური პირობები აღნიშნული ნაერთის მისაღებად მაქსიმალური გამოსავლით. გამოკვლეულია ექსტრაქტის შემადგენლობა და შექმნილია მისი გასუფთავების მეთოდოლოგია, რაც ფულვომჟავების საფუძველზე თხევადი სასუქების რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტურ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მემცენარეობაში აქტუალურია სპეციალური ნაერთები, რომლებიც წარმოადგენენ ხილისა და ბოსტნეულის ზრდის სტიმულატორებს. ეს უკანასკნელნი ორგანული პრეპარატებია, რომლებიც შეიცავენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს: ვიტამინებს, მჟავებს, ცილებს, ამინომჟავებს, სხვადასხვა მიკროელემენტს, პეპტიდებს, პოლისაქარიდებსა და სხვ. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად საინტერესოა ნიადაგის შემადგენელი კომპონენტის- ჰუმუსისა და მისი შემცველი ჰუმინური მჟავებისა და ფულვომჟავების გამოყოფა და შესწავლა [1-6].

ქვემოთ წამოდგენილია ჰუმუსის შემადგენლობის გამარტივებული სქემა:



**ჰუმინური მჟავების შემცველი ორგანო-მინერალური სასუქის მიღება:** ტორფის დამუშავების გავრცელებული მეთოდებიდან, როდესაც ხდება უხსნადი ჰუმინის მჟავის გადასვლა ხსნად მდგომარეობაში, მცენარისათვის ადვილად შესათვისებელ – გუმატებში, უკეთესია პოტაშის გამოყენება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კალიუმის შეტანა. ჩვეულებრივ, ტორფს ემატება პოტაშის 20%-იანი ხსნარი და 50%-იანი სინესტის მქონე ტორფზე საჭირო ხდება 35.5 კგ პოტაშის გამოყენება. მორეაგირე კომპონენტების კარგად შერევის შემდეგ მიღებული მასა გროვდება ზვინებად და მომწიფების მიზნით ყოვნიდება 8 დღის განმავლობაში. შემდეგ ემატება 40 კგ ამონიუმის გვარჯილა და 70 კგ სუპერფოსფატი. ხელახალი შერევის შემდეგ იგი კვლავ ყოვნიდება 8 დღე-ღამე [7-9].

**ნიადაგი:** ნიადაგი არის მცენარის საკვები, რომელიც წყალთან ერთად ხვდება მასში მკვებავი მარილების სახით. აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველი ნაერთები აუცილებელია მცენარისათვის. მათ გარეშე იგი შიმშილობს და კვდება. ასევე აუცილებელია მრავალი სხვა ნივთიერებაც, მათ შორის სპილენძის, მანგანუმის და იოდის მარილები. მაგრამ ეს ელემენტები საჭიროა მცენარისათვის ძალზე მცირე რაოდენობით (აღამიანებისათვის ვიტამინების მსგავსად). აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მარილები მცენარეში ხვდებიან მხოლოდ წყალთან ერთად და

შეწოვებიან ფესვებით, თუმცა ბევრი მკვებავი ნივთიერება არის უხსნადი და მიკროორგანიზმები გარდაქმნიან მათ მცენარისათვის გამოყენებად მასად. ნიადაგის ზედა ფენაში, სადაც აღწევს ჰაერი, მოქმედებენ აერობული მიკროორგანიზმები, ხოლო სადაც ჰაერი ვერ აღწევს - ანაერობული. მცენარის საკვებს აერობული მიკროორგანიზმები ამზადებენ უხსნადი ორგანული ნაერთებისაგან, ხოლო ანაერობულები - მცენარეული და ცხოველური ნარჩენების ნაწილობრივი დაშლით. ეს უკანასკნელი თანდათანობით გარდაიქმნება ისეთ ნაერთებად, რომლებშიც მცენარეთა საკვები ინახება დიდი ხნის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, როგორც აერობული, ასევე ანაერობული მიკროორგანიზმები საჭიროა მცენარეთა სრულყოფილი კვებისათვის. ნიადაგის გაფხვიერებისას (გადახვნა) ხდება აერაცია და მიმდინარეობს ანაერობული მიკროორგანიზმების მიერ დამზადებული საკვების გარდაქმნა აერობული მიკროორგანიზმების შექმნილ ხსნად ფორმაში. ამდენად, მცენარეები მთელი ცხოვრების მანძილზე იღებენ საკვებს ნიადაგიდან მიკროორგანიზმების დახმარებით [10,11].

**ნეშომპალა:** ამ ტერმინის ნაცვლად ადრე იყენებდნენ სიტყვას - “ჰუმუსი”. ნეშომპალას წარმოქმნიან მრავალრიცხოვანი მიკროორგანიზმები, რომლებიც ცხოვრობენ ნიადაგში. ისინი გარდაქმნიან მცენარეულ ნარჩენებს ნეშომპალაში. რასაკვირველია, ნეშომპალა წარმოიქმნება აერობული და ანაერობული მიკროორგანიზმების ზემოქმედებით, რომლებიც სხვადასხვაგვარად გარდაქმნიან მცენარეულ და ცხოველურ ნაშთებს. აერობული მიკროორგანიზმები შლიან მათ სწრაფად ხსნადი მარილების წარმოქმნით, ხოლო ანაერობული მიკროორგანიზმები შლიან მცენარეთა ნარჩენებს ნაწილობრივ. ასეთ პირობებში წარმოიქმნება ნახევრად გახრწნილი მცენარეული ნარჩენები, მაგ. ტორფი. ნეშომპალა წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც აერობული და ანაერობული მიკროორგანიზმები მუშაობენ მორიგეობით ან ერთობლივად. რასაკვირველია, თვითონ მიკროორგანიზმებიც გამოყოფენ ნიადაგში სხვადასხვა ნივთიერებებს, რომლებიც მთლიანობაში წარმოქმნიან ნიადაგის ნეშომპალას. ბევრი ნეშომპალა გროვდება ისეთ ნიადაგებში, სადაც საკმარისია სინესტეც და ჰაერიც (შავმიწა ნიადაგი სტეპებში). ზოგ შემთხვევაში ნეშომპალას შემადგენლობა არის ნიადაგის 0.5%, ხოლო შავმიწა ნიადაგში 10-12% ნიადაგის მთლიანი მასიდან. სხვადასხვა ნიადაგები განსხვავდებიან ნეშომპალის შემადგენლობით: ტყიან ეწერ ნიადაგებში არის ბევრი წითური-ყვითელი წყალში ხსნადი ნივთიერებები, შავმიწა ნიადაგებში ნეშომპალაში უმეტესად არის წარმოდგენილი წყალში უხსნადი მუქი ნაცრისფერი და შავი ფერის ნივთიერებები. ამგვარად, ნეშომპალა არის წყარო, საიდანაც მიკროორგანიზმები ამზადებენ საკვებს მცენარისათვის [12-14].

დადგენილია, რომ ნეშომპალას წვრილი ნაწილაკები როგორც მავნიტები მიიზიდავენ და აკავებენ თავის გარშემო მცენარეებისათვის საჭირო კალიუმის, კალციუმის და აზოტის ნაერთებს, ამიტომ ისინი აღარ გამოირეცხებიან. აქედან გამომდინარე ნეშომპალა არის მცენარისათვის საჭირო ნივთიერებებით სავსე საწყობი. გარდა ამისა, ნეშომპალაში შემავალი ნივთიერებები ხელს უწყობენ წყლისა და ჰაერის თანაბარ მიწოდებას ნიადაგში. ნეშომპალას მუქი ფერის გამო მზის თბური სხივები კარგად შთაინთქმება, ამიტომ ნეშომპალით მდიდარი ნიადაგი უფრო სწრაფად ხურდება და უფრო დიდი ხნით ინარჩუნებს სითბოს, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია მცენარეების ზრდისა და განვითარებისათვის. ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება უზრუნველყოფილია სწორი დამუშავებით და სასუქების ზომიერი შეტანით.


ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ჰუმუსის შემადგენელი ხსნადი ნაერთების გამოყოფა.

ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფულვომჟავები - არომატული და ალიფატური რიგის სუსტი ორგანული მჟავები, რომლებიც pH ნებისმიერი მნიშვნელობით იხსნება წყალში და თავისუფლად აღწევს მცენარის ფესვებში, ღეროსა და ფოთლებში, ამდიდრებს რა მათ სასარგებლო მიკროელემენტებით. მცენარეებში მათი მოქმედების ეფექტურობა განპირობებულია მჟავების სტრუქტურით - ფულვომჟავების მოლეკულები ხასიათდებიან მცირე ზომებით [15].

ფულვომჟავების გამოყენების უპირატესობას წარმოადგენს მათი ხელმისაწვდომობა. საქართველოს მთა-ველის ნიადაგები შეიცავს 8-20% ჰუმუსს, რომელშიც ფულვომჟავების შემცველობა გაცილებით მეტია ჰუმინურ მჟავებზე (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც წითელ-ყვითელი ნიადაგები ჭარბობს).

ფულვომჟავები წარმოადგენს ჰუმინური მჟავების შედარებით აგრესიულ ფრაქციას. მას გააჩნია ელემენტთა (CHO) ჯგუფის სპეციფიური შემადგენლობა, რაც განასხვავებს ჰუმინური მჟავებისაგან. ფულვომჟავები ძლიერი მჟავებია, რომლებიც ადვილად ურთიერთქმედებს ნიადაგის მყარი ფაზის მინერალების შემადგენლობაში შემავალ მეტალებთან მარილების-ფულვატების წარმოქმნით. ტუტე-მიწა მეტალების ფულვატები წყალში ხსნადია და შესაბამისად, ადვილად გამოირეცხება ნიადაგიდან, ხოლო

ოქსიდების ურთიერთქმედებით წარმოქმნილი ფულვატები იხსნებიან მხოლოდ მჟავა არეში, მჟავიანობის შემცირებისას კი ნალექის სახით გამოიყოფიან [16-18].



ფულვომჟავების აქტუალობიდან გამომდინარე, ჩატარებულია სამუშაოები ნიადაგიდან ფულვომჟავების გამოყოფის მიზნით. ნედლეულად გამოყენებულია დასავლეთ საქართველოს მთა-ველის ნიადაგები და ტორფი.

#### ექსპერიმენტული ნაწილი:

ელექტროგამახურებელი, ცილინდრი 25 მლ-2 ცალი, აზბესტის ბადე – 2 ცალი, თერმომეტრი, კონუსური კოლბა - 6 ცალი, ძაბრი – 6 ცალი, ფილტრის ქალაღი, NaOH-ის 1N ხსნარი, NaOH-ის კონცენტრირებული ხსნარი, მარილმჟავა 10%-იანი,  $KAl(SO_4)_2$  გაჯერებული ხსნარი, ნიადაგი.

1. 20 გრამი აწონილი გასრესილი ნიადაგი მოვათავსეთ კონუსურ კოლბაში;
2. დავუმატეთ 25 მლ 1N NaOH ან KOH;
3. შევანუღრიეთ სუსპენზია და გავაცხელეთ  $80^{\circ}C$ -მდე ელექტროგამახურებელზე (გახურებისას ვურევდით);
4. ცხელი სუსპენზია გავფილტრეთ დაკეცილ ფილტრში (ნიადაგი მოვაცილეთ);
5. ფილტრატში, სადაც არის ჰუმუსის ყველა მჟავა, გამოვლექეთ ჰუმინური და ულმინური მჟავები, რისთვისაც კოლბაში მივამატეთ 5 მლ 10%-იანი მარილმჟავა;
6. ცხელი ხსნარი გავფილტრეთ. ფილტრზე რჩება ჰუმინური და ულმინური მჟავები, ხოლო ფილტრში გადის ფულვომჟავები;
7. ფულვომჟავების დალექვის მიზნით ფილტრატს დავუმატეთ 5 მლ  $KAl(SO_4)_2$  გაჯერებული ხსნარი, ამავე დროს დავამატეთ საწვეთურიდან წვეთ-წვეთობით NaOH, ვიდრე სარეაქციო არის მჟავიანობა არ გახდა  $pH=5.5$ . ამ მომენტში ხსნარიდან გამოიყოფა ღია ფერის ფიფქები (ფულვომჟავები და მისი მარილები).

ჩატარდა მიღებული ექსტრაქტის ქრომატო-მასსპექტრომეტრული ანალიზი.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევები წარმოადგენს პერსპექტიულ სამუშაოს აგრარული სექტორის მომძღვარებისა და განვითარების თვალსაზრისით.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Li L., Quinlivan P., Knappe D., *Carbon*, 2002, vol. 40, pp. 2085–2100.
2. Kaneko Y., Fbie V., Ogino K., *Colloid Surface*, 1998, vol. 36, pp. 211–222.
3. Considine R., Denoyel R., Pendleton P., *Colloid Surface, A.*, 2001, vol. 179, pp. 271–280.
4. Strelko Jr. V., Malik J., Streat M., *Carbon*, 2002, vol. 40, pp. 95–104.
5. Jianwei J., Win Y., Tsair-Fuh L., *Separ. and Purif. Technol.*, 2007, vol. 56, pp. 363–370.
6. Hsu-Hui H., Ming-Chun L., Jong-Nan C., *Chemosphere*, 2003, vol. 51, pp. 935–943.
7. Strelko V., Stavitskaya S., Tsyba N., *Zhurn. Prikl. Khimii*, 2007, vol. 80, no. 3, pp. 391–398.
8. Oliveira A., Silva N., Yoshida I., *Carbon*, 2004, vol. 42, pp. 2279–2284.
9. Barton S., Evans I., Halliop E., McDonald A., *Environ. Sci. and Technol.*, 1997, vol. 35, pp. 1361–1366.



10. Guoxian J., Shanxian L., Hui Ch., *Carbon*, 2005, vol. 43, pp. 2285–2294.
11. Aleksandrova N., *Organicheskoe veshchestvo pochvy i protsessy ego transformatsii* (Organic Matter of Soil and Processes of its Transformation), Leningrad: Nauka, 1980.
12. Menender J., Phillips I., Xia B., Radovic R., *Langmuir*, 1996, vol. 12, pp. 4404–4410.
13. Klimenko A., Savchina A., Kozyatnik P., *Khimiya i Tekhnologiya Vody*, 2008, vol. 30, no. 6, pp. 603–614
14. Salame I., Bandosz J., *ibid.*, 2003, vol. 264, pp. 307–319.
15. Vidic R., Suidan T., Brenner R., *Environ. Sci. and Technol.*, 1993, vol. 27, pp. 2079–2092.
16. Alvarez M., Garcia-Araya F., Beltran J., *Colloid Interface Sci.*, 2005, vol. 283, pp. 503–512.
17. Fierro V., Tarne-Fernandez X., Montane D., Celzard A., *Microporous and Mesoporous Materials*, 2008, vol. 3, pp. 276–284.
18. Strazhesko D.N., *Adsorbtsiya i adsorbenty: Respubl. Mezhvedom. Sb.* (Adsorption and Adsorbents: Republican Multiagency Digest), Kiev: Nauk. Dumka, 1976, vol. 4, pp. 3–13.
19. Tarkovskaya A., Savitskaya S., Strelko V., *Ukr. Khim. Zhurn.*, 1983, vol. 49, pp. 16–20.

## OPPORTUNITIES OF FULVIC ACIDS ALLOCATION FROM THE GROUND AND THEIR FURTHER USE

Leila Tatiashvili, Nana Tserodze, Maia Stefanishvili, Rusudan Uridia, Irma Mikadze  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State Univesity, Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

### SUMMARY

Works are carried out with the purpose of different types of fulvic acids allocation from the ground and peat. Optimal conditions are chosen for obtaining maximum yield from the compounds mentioned above. Extract consistency is researched and new cleaning methods are developed. This gives an opportunity to use liquid fertilizers rationally on the bases of fulvic acids.

## ВОЗМОЖНОСТИ ВЫДЕЛЕНИЯ ФУЛЬВОКИСЛОТ ИЗ ПОЧВЫ И ИХ ПОСЛЕДУЮЩЕЕ ИСПОЛЬЗОВАНИЕ

Л.Т.Татиашвили, Н.П.Церодзе, М.А.Степанишвили, Р.З.Уридия, И.И.Микадзе  
*Тбилисский Государственный Университет им. Ив.Джавахишвили, Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили*

### РЕЗЮМЕ

Проведена работа с целью выделения фульвокислот из почвы разных типов и торфа. Подобраны оптимальные условия для получения вышеуказанного соединения с максимальным выходом. Изучен состав экстракта и разработана методика его очистки, что даёт возможность рационального использовзния жидких удобрений на основе фульвокислот.

## ქიმიური ტექნოლოგია

## მინარეგების მოჭორება მეტალურგიული სილიციუმიდან ნაღვრიდან ამოწვევის მეთოდით

ლეონტი გაბრიჭიძე, ელზა ხუციშვილი, ნანა ქობულაშვილი, ნუნუ ხუციშვილი\*, თემური გიგითაშვილი, რამაზ ხარატი, გულნარა ურუშაძე, იაგო კუპრეიშვილი, ნოდარ კეკელიძე

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
elzakhutsishvili@yahoo.com

ჩატარდა მეტალურგიული MG-Si – ის (metallurgical-grade) (98 Si-ის წონ%-ით) არასასურველი მინარეგებისაგან გაწმენდა. სილიციუმში ძირითადი მინარეგების საკმარისად მცირე განაწილების კოეფიციენტის ( $10^{-4}$ - $10^{-6}$  რიგის) გამო მინარეგებისაგან გაწმენდისათვის გამოყენებული იყო მეთოდი, რომელსაც საფუძვლად ედო ლითონური მინარეგის სეგრეგაცია გამყარებისას და ნაღვრიდან სილიციუმის ამოწვევის ჩოხრალსკის მეთოდი. რენტგენოსპექტრული მიკროანალიზატორით და ემისიურ-სპექტრული ანალიზით შესწავლილია სილიციუმში ძირითადი დამაბინძურებელი მინარეგების შემცველობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ და დადგენილია გაწმენდის ეფექტურობა. ამოწვევის სიჩქარის სიდიდე ძლიერ გავლენას ახდენს გაწმენდის ხარისხზე. სილიციუმის ამოწვევის სიჩქარის ზრდით გაწმენდის ეფექტურობა იზრდება. სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარეგისაგან ეფექტურად 99.99 წონით პროცენტამდე.

ელექტროენერგიის მოხმარების თანამედროვე გაზრდილი დონე, ტრადიციული, მიწის წიაღისეულის რესურსების შემცირება და უკანასკნელ წლებში კატასტროფები ატომურ სადგურებზე (ჩერნობილი, პენსილვანია, ფუკუშიმო) იწვევს დიდ ინტერესს ფოტოენერგეტიკისადმი.

ენერგეტიკაში ნახევარგამტარული ფოტოგარდამქმნელების ფართო ჩანერგვის შეფერხების მთავარი მიზეზი არის მათ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის მაღალი ფასი (4.20\$/ვტ). ამ პრობლემის გადაწყვეტა პირველ რიგში დაკავშირებულია ფოტოელექტრულ გარდამქმნელების ძირითადი აქტიური შემადგენელის - ნახევარგამტარული მასალების ტექნოლოგიის განვითარებასთან. ამ მასალებს შორის სილიციუმი დღეს ერთადერთი ძირითადი და პრაქტიკულად ფართოდ გამოყენებადი მასალაა მზის ელემენტებში. ხოლო ფოტოელემენტების ეფექტურობა მთლიანად დამოკიდებულია სილიციუმის სისუფთავეზე. მინარეგების შემცველობის მიხედვით რაფინირებულ სილიციუმს უკავია შუალედური საფეხური მეტალურგიულ და "მზიური" გრადაციის სილიციუმებს შორის. ეს ის მეტალურგიული პროცესია, რომელიც საშუალებას მოგვცემს გაწმენდოთ "მზიური" გრადაციის სილიციუმი ჩვენთვის მისაწვდომი იაფი მეტალურგიული სილიციუმიდან. ეს ნიშნავს ელექტრორეაქციულ ლუმენში კარბოთერმული აღდგენით მიღებულ მეტალურგიული სილიციუმის ხარისხის მნიშვნელოვან გაზრდას. მინარეგები, რომელნიც თანმხლებია მეტალურგიული სილიციუმის დამუშავების პროცესისა, დამოკიდებულებაა საწყისი მასალის ხარისხზე. ნახშირბადიანი აღმდგენელი ჩვეულებრივ შედგება ნახშირისაგან (75–80%), ნავთობის კოქსისაგან (8–10%) და ქვანახშირისაგან (13–14%) [1]. მეტალურგიულ სილიციუმში კაზმიდან გადადიან Al, Ca, Mg და სხვა მინარეგები. პირდაპირი მადანთერმული აღდგენის მეთოდი ძალიან საინტერესოა, როგორც უმცირესად ეკოლოგიური უსაფრთხო და "მზიური" სილიციუმის მიღების მარტივი და იაფი პროცესის პირველი საფეხური. მაგრამ ზესუფთა ნელეული მასალის გამოყენებაც კი არ იძლევა საჭირო სისუფთავის სილიციუმის მიღების საშუალებას. მიღებული მეტალურგიული სილიციუმი არ ვარგა ნახევარგამტარი ხელსაწყოს შესაქმნელად.


მინარეგებისათვის დადგენილია ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები, რომლებიც განაპირობებენ ფოტოელემენტის დეგრადაციის ზღვრულს [2,3]. მეტალურგიული სილიციუმის გაწმენდის მეთოდები გამოირჩევა მაღალი თვითღირებულებით და ეკოლოგიურად სასიფათო მასალების გამოყენებით [4-13]. დღეს "მზიური" სილიციუმის მიღების მეთოდების დამუშავება ხდება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ტრადიციული მეთოდების სრულყოფა, სილიციუმის პირდაპირი მიღება გამწმენდი აირადი ფაზის გარეშე და იაფი მეტალურგიული სილიციუმის რაფინირება.

ამიტომ წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია გამოკვლევულ იქნას მეტალურგიული სილიციუმის რაფინირების პროცესის შესაძლებლობა პირდაპირ ნაღვრიდან სილიციუმის ამოწვევის მეთოდის

გამოყენებით. ეს მეთოდი საინტერესოა იმით, რომ ერთ დანადგარზე შეთავსებული იქნება ერთდროულად სილიციუმის რაფინირება და შემდგომ მიზნობრივი "მზიური" ხარისხის სილიციუმის მიღება.

### ექსპერიმენტული ნაწილი

ტექნიკური სილიციუმის გაწმენდა მინარევებისაგან განხორციელდა მდნარიდან ამოწვევით ჩოხრალსკის მეთოდით [14] მოდერნიზებულ ვაკუუმურ დანადგარ C-984-ის ფუძეზე. ტექნოლოგიური ნაწილის ძირითადი კვანძია მუშა კამერა, რომლის სქემა წარმოდგენილია სურ.1-ზე. მუშა კამერის ქვედა ნაწილში მოთავსებულია გრაფიტის ქვესადგამი (2) სითბური ეკრანებით, რომელშიც თავსდება კვარცის ტიგელი (1). გრაფიტის ქვესადგამი და დედამდნარის შემცველი ტიგელი შეიძლება ერთად ვაბრუნოთ ღერძის (6) ირგვლივ და გადავაადგილოთ ვერტიკალურად საჭირო ტემპერატურული პირობების შესარჩევად.



სურ. 1. ტექნიკური სილიციუმის კრისტალების მისაღები ვაკუუმური დანადგარის სქემა:

1-კვარცის ტიგელი; 2-გრაფიტის ქვესადგამი; 3-ნადნობი; 4-მახურებელი; 5-გაზგამწოვი მოწყობილობა; 6-ტიგელის ღერძი; 7- მადეღბლის გადამტანი ჭოკი; 8-მადეღბელი; 9-კრისტალის ყელი, 10-სილიციუმის კრისტალი.

გრაფიტის ქვესადგამის და კვარცის ტიგელის ბრუნვის მექანიზმი მოთავსებულია დანადგარის ქვედა ნაწილში, მუშა კამერის ქვეშ. ჭოკზე (7) მაგრდება მადეღბელი (8) სპეციალურად დამზადებული გრაფიტიდან მადეღბელის დამჭერის მეშვეობით. კამერის თავში (თავსახური) მოთავსებულია მადეღბლის გადამტანი ჭოკის (7) ბრუნვის და მოძრაობის (აწევის და დაწევის) მექანიზმები. ჭოკის ბრუნვა შეიძლება ვაკუუმურ ფარგლებში, ვერტიკალური გადაადგილების სიჩქარე კი 0-1 მმ/წუთით.

სამუშაო კამერაში ჩართულია გაზგამწოვი მოწყობილობა (5). ქიმიური რეაქციის აირადი პროდუქტები გრაფიტიდან და ტიგელიდან აკრავს დედამდნარის ზედაპირს, ნაწილობრივ იხსნება მასში და აბინძურებს მას. გაზგამწოვი მოწყობილობა დნობის პროცესში ქიმიური რეაქციის პროდუქტებს წარმოქმნისთანავე გამოდევნის სამუშაო კამერიდან.

კამერის შიდა მოცულობაში შეღწევა უზრუნველყოფილია კარებით, რომელიც იხურება ჰერმეტიკულად და აქვს სათვალთვალო ფანჯარა. კამერის ქვედა ნაწილი მიერთებულია ვაკუუმ-აირის გამანაწილებელ სისტემასთან.

დნობები ჩატარებულია ინერტული აირის - არგონის გარემოში 0.5 ატმოსფეროს წნევის ქვეშ. წინასწარ დანადგარი გამოიტუმბებოდა  $10^{-4}$  მმ ვერცხლისწყლის სვეტამდე. ამის შემდეგ არგონის ნელი ნაკადით ხდება დანადგარის გარეცხვა და ბოლოს დანადგარი ივსება არგონით სათანადო

წნევამდე. დანადგარზე დენის მიწოდებისას და სათანადო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ირთვება გაზგამწოვი მოწყობილობა. ინერტული გაზის მიწოდება და გაწოვა რეგულირდება ისეთნაირად, რომ სამუშაო კამერაში გაზის წნევა ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში მუდმივად რჩება 0,5 ატმოსფეროს დონეზე.

